ოფელი

ირინა მელქაძე

სუფრული



ირინა მელქაძე

თეთრ სუნთქვაში

რომანი

2021

რედაქტორი:
ნინო ჯიშიაშვილი
შორენა ლიპარტელიანი-გორგიშელი

ტექნიკური რედაქტორი:
ირაკლი კორძახია
მარიამ გოგიაშვილი

გარეკანზე გამოყენებულია ნინო მატუაშვილის ნახატი

გამომცემლობა შ.პ.ს. **„ირიდა“**
ქ. რუსთავი, ფიროსმანის 7
ტელ: +995 599 70 81 73

ISBN: 978-9941-8-3637-4

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

როდესაც თანამედროვე მწერლის ირინა მელქაძის მოთხრობა „თუთის სურნელი“ წავიკითხე, ვაჟა-ფშაველას სიტყვები გამახსენდა „იგია ნიჭიერი მწერალი ვინც, რასაც თავად ჰგრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს.“ და მართლაც, კითხვისას მეც იმავე გრძნობით განვმსჭვალულვარ, რითაც მისი გმირები არიან შეპყრობილნი. მეც ისე ძალუმად მყვარებია და ისე დავტანჯულვარ, როგორც მშვენიერი ელენა და გიორგი. მეც ისე მტკენია და განმიცდია, როგორც მომხიბვლელ და ოჯახზე მზრუნველ ნატას.

ოოო, რამდენჯერ მიტირია მშვენიერ ელენასთან ერთად. ვერც კი მიგრძვნია დაღლა ისე გამივლია მონასტრის დამრეცი და ტყიანი ბილიკები გიორგისთან საუბარში გართულს. მეც ცხარედ მიკამათია ნატასთან და... ერთად და მიმიღია გადაწყვეტილება. მეც მისაუბრია მარუსთან ყველაზე ერთგულ და მართალ მეგობართან და მიფიქრია, ბედნიერია ადამიანი, ვისაც მარიამის მსგავსი მეგობარი უდგას მხარში.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ქალბატონ ირინას გრძნობების გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარი აქვს და მისი ხელწერა აუცილებლად გამოიწვევს მკითხველის ინტერესს. შეუძლებელია გულგრილად აუარო გვერდი ბარნაბას სულისშემძვრელ ისტორიას და ღიმილი არ მოგგვაროს სხალთის მონასტრამდე მიმავალი მძღოლის საუბარმა. შეუძლებელია არ ჩაგაფიქროს ბერების სიტყვებმა და ავტორის მრავლისმეტყველმა ფრაზამ; **„ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავები, ხომ ცოდვიან ეგოისტებად ვიბადებით და ღვთის სიყვარულშიც კი შეჯიბრი შეგვიძლია...“**

ყველაზე მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი მაინც ორთა სიყვარულის ისტორიაა. თითქოს ბანალური, მაგრამ სრულიად განსხვავებული და ინდივიდუალური. დარწმუნებული ვარ, ქართველი მკითხველი თავად ობიექტურად შეაფასებს გმირებს, საკუთარი გადმოსახედიდან გაარჩევს მტყუანსა და მართალს, მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა ფრაზამ მიიქცია „მე რატომ არ ვიყავი ის ტაძარი, სადაც ყველაზე კარგად იგრძნობდი თავს? თუ ასე გინდა ჩემთან, მე რატომ არ ვიყავი ის ლოცვა და სიყვრული, რაც იქ იპოვნე, ამაზე გიფიქრია?“ როცა ადამიანს ასეთი სიყვარული შეუძლა ე.ი. ეს გრძნობა მარადიულია და მას გაქრობა არ უწერია.

და ბოლოს, წაიკითხავ მოთხრობას და აუცილებლად დაუსვამ საკუთარ თავს კითხვას „ვინ ვარ მე ადამიანი – ფაქტი თუ ადამიანი – ამბავი?...“

სხალთის მონასტერი – „გაქცევა“

ისიდას ჰიმნი – „სიყვარულის ორმოცი მიზეზი“

კაფე გარდენსი – „აქ სხვების პაემნების ადგილია, ჩვენსას ჩაუვლია უკვე... “

თუთის სურნელი

„ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ...“
მუხრან მაჭავარიანი

მოდიოდა კაცი...

ეული, კარგამოჯახუნებული, ფიქრების გუდით დამძიმებული მოაბიჯებდა. ჩემს თვალებზე, ჩემს ოცნებებზე, ჩემს წლებზე, მოგონებებზე ადგამდა ფეხს. არ მტკიოდა, მართლა არ მტკიოდა. როგორ შეიძლება გეტკინოს ის, რაც ასე ძალიან მოგწონს, ასე ძალიან გიყვარს, ასე გიბნევს თავგზას და აგრერიგად არხევს შენი სულის სიმებს...

დიახ, მე თექვსმეტი წლის ვარ ახლა და ისე გამიგეთ, როგორც თექვსმეტი წლის გოგოს გაუგებდით...

ჩემი სიყვარული ყველა სიყვარულზე დიდია, ბატონო, ჩემი მოგონებები ყველა მოგონებებს სჯობს, ჩემს ქალაქს რომ ზღვა აქვს, ასეთი ზღვა არსად არის, ჩემთან სხვანაირად წვიმს, მზეც სხვანაირად ანათებს...

რა მინდა? რა მინდა და ამ კაცის რომ გშურდეთ, მინდა!

გგონით, არ ვიცი, შური რომ ცოდვათა შორის, უდიდესი ცოდვაა? „შური არს ბოროტი სხვისა კეთილსა ზედა“.

მაგრამ მაინც მინდა გშურდეთ!

მინდა გშურდეთ ჩემი ბედნიერების, ჩემი იდუმალი ფიქრებისა და ოცნებების, ჩემი... ჩემი!..

ჩემი თუ მისი? ჰმ, არ ვიცი.

ძალიან მინდა, უსაშველოდ მინდა გშურდეთ!

მ ი ყ ვ ა რ ს ეს კაცი ტკივილამდე, კივილამდე მიყვარს და იმიტომ! არვინ და არაფერი ასე არ მიყვარს. მინდა სამყარომ გაიგოს ჩემი უსასრულო გრძნობის შესახებ... ამიტომ უნდა გშურდეთ ამ კაცის, ამ მოხეტიალე, ამ კარგამოჯახუნებული ადამიანის, თავის გზას რომ ისე მიჰყვება, უკანაც არ იხედება...

ამ კაცის თუ ჩემი?

მე, მე ვიქნები ის თვალები, შენ რომ გამოგახედებს, მე ვიქნები შენი მონასტერი და ტაძარი... გეუბნები, გეძახი, გიყვირი – გ ა მ ო ი ხ ე დ ე! ! !

არც ისე შორს ვარ... დრო და მანძილი არაფერია იმასთან შედარებით, მე რომ მიფიქრია... მე, მე იმ-დენს ვფიქრობ, შემიძლია შეგეხო კიდეც... გესმის? ხოდა ახლა შენი ჯერია! მე ვიცნობ ამ გზას და ოოო, რამდენჯერ გამივლია მარტო? შენ კი, შენ ახლა მიდიხარ...

ოდესმე აუცილებლად მოხვალ და მეტყვი მ ა დ ლ ო ბ ა ს, რომ ეს გზა ჩემი გულისთვის აირჩიე!

და მე... ჰმ... და მე ვიქნები ბედნიერი! სხვა თუ ვერაფერი, ის შევძელი, რომ შენი თავი გეპოვნა!

კაცი გამოვიდა, კარი გამოიჯახუნა და წავიდა...

„ფსიქოლოგიურად პიროვნული ზრდა-განვითარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა პიროვნებას მიზანი გააჩნია. როგორც ყველასთვის ცნობილია, მიზნის დასახვა გულისხმობს სულიერ თუ პიროვნულ სრულყოფას, რაღაცის შეცვლის უნარს და გადაადგილების გარკვეულ თავისუფლებას დროსა და სივრცეში. ეს იმ დიდ მოვლენას ჰგავს, როცა ბავშვი სხვების დაუხმარებლად პირველად დგება ფეხზე. უცნაური გრძნობაა, თან გიხარია, თან გეშინია... თან გიხარია, თან გეშინია...თან თან...“

რომელიღაც წიგნიდან ამონარიდი ფრაზები წამოიღო მეხსიერებამ. როგორ უნდოდა, მართლა ყოფილიყო სადმე, ვინმესთან ასეთი წიგნი.

მივიდოდა, დაჯდებოდა, წაიკითხავდა, არა, დაიზეპირებდა, რომ აღარსდროს დავიწყებოდა, რომ სულ სცოდნოდა სად მთავრდება სიხარული და სად იწყება შიში...

– ხო! – უეცრად თავისდაუნებურად ხმამაღლა აღმოხდა.

დილა

ჩვეულებრივი დილა იყო.

ჩვეულებრუვი არა – ისა!

რა ჩვეულებრივი?!.

ამ ქალაქში ყველასთვის დილა იყო, მისთვის კი არა.

ღმერთო, როდის მოვიდა ეს შიში? დასასრულის ასეთი მძაფრი შიში.

არ იცოდა.

ერთი, რაც გონებას უმღვრევდა, საკუთარ სახლში საშინელი გაუცხოების გრძნობა იყო. გუშინდელი „სპექტაკლიდან“, თავისიანებმა რომ მოუწყვეს, კისერზე, წყალში გადასაგდებ ტომარაზე დაკიდებული ლოდივით, ჩამოეკონწიალა დარდი. მერე რა მძიმე იყო ეს ლოდი, რომელიც თანდათან უფრო მძიმდებოდა და ფსკერისაკენ მიაქანებდა.

ყველასა და ყველაფრისგან მოწყვეტილი გრძნობდა, რომ ქალაქიც და სახლიც ვიღაცის იყო, ან თვითონ იყო ვიღაც.

გაახსენდა, დღევანდელი თარიღი, თხუთმეტი აპრილი.

აუცილებლად, ორი სიტყვით მაინც უნდა მიულოცოს ელენას.

– ელენა... გაიფიქრა და გულმა გამალებით დაუწყო ფეთქვა, ნესტოები დაებერა, შინაგანმა თრთოლვამ მოიცვა მთელი მისი არსება. ოოო, როგორ სციოდა ახლა, მაგრამ უდაბნოს თაკარა მზეზე უფრო მწველი იყო ეს სიცივე... ელენა... ახლა უფრო ხმამაღლა გაიმეორა ეს მაგიური სახელი და მიხვდა, სუნთქვა უჭირდა... არა, კი არ უჭირდა, ვერ სუნთქავდა მის გარეშე... სამყარო ცარიელ, თავდახურულ კასრს დამსგავსე-

ბოდა და თავად კი ვირთხასავით დარბოდა წრეზე, გასასვლელს ეძებდა, მაგრამ...

ელენა... ელენა... ვინ იცის რას ფიქრობ ახლა ჩემზე, თუმცა შენ ყველაფერზე ფიქრის უფლება გაქვს, აი, ვალდებულება კი – არაფრის. როგორ აგკიდე ამხელა დარდი და გავქრი...

ოდესმე იქნებ სიტყვაზე მენდო, იქნებ ჩემიც გაიგო. მომისმინო და მიხვდე, რა ძვირფასი ხარ...

ელენაზე ფიქრში გული უფრო და უფრო ეწურებოდა, ვერაფრით მიმხვდარიყო როგორ მოხდა ეს ყოველივე. რატომ დაინტერესდა ეს ღვთაებრივი არსება მისით? ეს იყო ნეფერტიტი განსხეულებული... გაეღიმა კაცს, თითქოს ზუსტად აღწერდა ეს სახელი მის მდგომარეობას „ულამაზესი ქალბატონი მოვიდა“. დიახ, თავად მოვიდა ელენა მასთან, მას ხომ არ უძებნია, ბედნიერებამ თავად მოაკითხა. ნეტავ რა იყო ეს? უფალი ცდიდა? რამის საზღაურს იხდიდა და ვერ ხვდებოდა თუ?..

სასწული იყო ის რამოდენიმე თვე.

კაცს კვლავ გააჟრჟოლა, მაგრამ ეს ბედნიერების ჟრჟოლა იყო.

პირველი შეხვედრა, რაღაც გვიანი ვახშამის მაგვარი გამოუვიდათ.

მუსაიფი, ბევრი ღიმილი და ცოტა წითელი ღვინო...

აი, მაშინ ჩვეულებრივი დილა იყო ამ ქალაქში. ახლა კი, ახლა – არა.

გაქცევა

გუშინდელი აურზაურის შემდეგ შოთას ნახვა შვება იყო.

კარგიაო. – ეუბნებოდა, გიშველისო. ცოტა დაწყნარდებიო, ამათაც გადაუვლის, აბა რა ჯანდაბა იქნება, მართლა ხომ არ მოგკვეთენო... რა დროს ეგეთებიაო...

– სხალთის მონასტერი ხომ იცი? ახლა იქ უამრავი თუთის ხე ყვავის. ეზო საკურთხევლის წინ მდგომ პატარძალს გავს, უსაზღვრო ბედნიერებას რომ ელის, მოგეწონება... ძალიან კეთილი ბერები არიან. – დარწმუნებით აგრძელებდა შოთა. – შენსას იტყვი, ისინიც რამეს გირჩევენ. ასე მოკვდები... აქ ნუ გაჩერდები.

მერე მისამართი და ტელეფონის ნომერი დაუტოვა. ყინჩაურამდე ჩადი და ამ ნომერზე დარეკე, მოვლნენ და მონასტრამდე მიგიყვანენო.

მადლობის მეტი რა ეთქმოდა. არც დაწოლილა, ისე ჩაყარა ერთი ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელი ძველ ჩანთაში. არავის დამშვიდობებია, კარი გამოაღო და...

ჰორიზონტს გახედა... ეს წვიმიანი ქალაქი, ეს ნესტიანი ქალაქი ბოლომდე სიყვარულით იყო გაჟღენთილი. არსებობს ისეთი წვიმაც, სიყვარული რომ მოაქვს. ისეთი ნესტიც არსებობს, სულსა და გულში რომ გაგიჯდება და ყველა ტკივილს დაგავიწყებს. არა, ვცდები, კი არ დაგავიწყებს, ყველა მიყუჩებულ ტკივილს ერთად აგატკივებს. მოდიოდა კაცი დაღლილი, დაღლილი საკუთარი ცხოვრებით, საკუთარი სახლით, იმ სახლით, რომელიც უცხო იყო მისთვის... მოდიოდა კაცი... კარგამოჯახუნებული, ფიქრების მძიმე გუდით მოაბიჯებდა.

ღრმად ჩაისუნთქა, უნდოდა ბოლომდე შეეგრძნო საამო სურნელი, მაგრამ მიხვდა, ზედმეტი იყო, რადგან ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ეს ჰავა.

საიდან იწყება გაუცხოება, საკუთარ თავს რომ კარგავ და გგონია, ახლა, ზუსტად ახალა, იპოვე ის, რასაც მთელი ცხოვრება ეძებდი. ისიც მაშინ მოვიდა, როცა აღარავის ელოდი და უამრავ აბლაბუდად შემოგეხვია.

არ გიცდია თავის დაღწევა. ყველაზე თბილი და ყველაზე შენი იყო ის აბლაბუდა. თავისი წებოვანი ძაფებით ისე გიწებებდა. რა მოკლე იყო და რა შორი ეს გზა დიდ ქალაქამდე. ამ გზაზე დადნა ყველა ყინული, და ახლა ბოლომდე გამლღვალს, ვითომ ძალიან „თავისიანები“ ისევ შეკოწიწებას უპირებენ.

ბევრი სცადეს ამ დღეებში, მაგრამ არ გამოუვიდათ.

სიტყვა „სინდისი“ ყველა ბრუნვაში უბრუნეს, ახლიდან დააწერინეს, მერე გადააწერინეს და ათასმეერთედ წინ დაუყენეს ცხოვრების ყველაზე მთავრი ადამიანები: „– კაი ჩვენ ჯანდაბას, ამათ რა პასუხს აძლევო?!“

დამფრთხალი ოთხი თვალი უყურებდა მის შუშის თვალებს და ვერ გაეგოთ, რატომ ეჩხუბებოდნენ მამას ან საერთოდ ამდენი ხალხი რატომ ყვიროდა და ტიროდა? არც არავინ მომკვდარიყო, არც ვინმე იყო ავად... მამის გამოხედვიდან უნდოდათ გაეგოთ აეხსნათ, მაგრამ იქ მათზე პატარა და უსუსურ ბავშვს ხედავდნენ. სულ დაიბნენ...

ჩუმად, უხმოდ წამოდგნენ, საკუთარი ოთახის კარი გამოაღეს და შევიდნენ... აღარც გამოსულან.

„დამინდეს“ – გაიფიქრა კაცმა.

სიყვარულის დღე

„გილოცავ, დღეს ხომ სიყვარულის დღეა... თუმცა ჩემთვის ყოველი დღე სიყვარულისაა, ჩემი და შენი სიყვარულის. ყოველ დღეს ერთი ფერი აქვს უკვე, მონატრების ფერი და ეს მონატრება ჭკუიდან მშლის, მაგიჟებს. ვიცი, რომ დარდობ. როგორ მიყვარს მაგ თვალთა ელვარება ფიქრისა და დარდის დროს, მაგრამ თავს გაუფრთხილდი... მეც გამიფრთხილდი...“

გიორგი

მესიჯი დაწერა, გააგზავნა... ვერ იზამდა სხვანაირად... ეს დღე უნდა მიელოცა. საკუთარ თავზე გაეცინა, რა დღე, რის დღე. ამოყირავებული ცხოვრება და სადღაც სრულ გაუგებრობაში მიტოვებული საყვარელი ქალი. აქეთ მტრად გადაკიდებული თავისიანები და ოთხი გაშტერებული თვალი...

ჩასვლით ჩავა... ოღონდ დღეს არა... ელენას, თავის ელის ვერ მიატოვებს! მივა, აუხსნის, მოკვდება, იცის, მაგრამ მაინც ეტყვის სათქმელს. ისიც მოუსმენს, როგორც იცის ხოლმე. თავს გვერდზე გადაწევს, მარჯვენა ხელით თმას დაუწყებს წვალებას და თვალებს სიყვარულით აავსებს. წარმოდგენაში დახატულმა საყვარელი ქალის სურათმა სხეული მონატრებით აუვსო კაცს, ძვალ-რბილში ატანდა მტკივნეული გრძნობა. უნდოდა ყველაფრის მიუხედავად უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ თავი შეიკავა.

არა, ახლა არა... ახლა უნდა წავიდეს.

ასე დაქუცმაცებული და გასაცოდავებული არასდროს ახსოვს თავი. არავის ბოდიშს არ ითხოვს, არც ვინმეს შეცოდება სჭირდება. უბრალოდ საკუთარ თავთან მარტო დარჩენა სურს და მორჩა.

გზას გახედა...

ძალიან ადრე იყო. მზე ახალგაღვიძებული ბავშვივით იფშვნეტდა თვალებს და ზანტად უგზავნიდა დედამიწას სხივებს. ჩიტები ჟივილით ეგებებოდნენ ახალ დღეს. კაციშვილის ჭაჭანება არ ისმოდა, მანქანის მოძრაობაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. მისი ავტო იქვე იდგა, მაგრამ არც უფიქრია დაექოქა, ხმაზე გამოვიდოდნენ. ცას ახედა, ღმერთო, რა ლამაზია ცხოვრება, მით უმეტეს, როცა გიყვარს. უნდოდა თქეში წამოსულიყო, არც კი გაინძრეოდა, იქნებ შველოდა, ცოტა განელებულიყო სულში აგიზგიზებული კოცონი, მაგრამ მიხვდა, სისულელეს ფიქრობდა, რადგან სწორედ ეს კოცონი უყვარდა მას, სწორედ ეს ცეცხლი იყო, სიცოცხლე რომ ასმაგად დააფასებინა და განა ახლა დრო იყო მისი ჩაქრობის? მხარზე ჩანთა გაისწორა და წაბარბაცდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და...

არის ასეთი შეგრძნება, როცა საკუთარი თავმოყვარეობა და სინდისი, მორალი და შინაგანი კულტურა ერთად იზილება, შემდეგ კარგად დამუშავებული ცომივით ჯამის კიდეებს სწყდება და საბოლოოდ უცხოვდება. ეს ის შემთხვევაა, როცა გგონია ყველაფერი იცი, ყველაფერი გაზომე, თან ათასჯერ, მაგრამ აი, გაჭრის დროს თითზე გამოგეკრა სამართებელი და ზუსტად ის საჩვენებელი თითი წაგაცალა, სხვა დროს შენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისკენ რომ იშვერდი.

და მორჩა, იწყება ყველაზე ნამდვილი გზა შენში – შენის მიგნების და მოძიების... თვითგამორკვევის... სისხლისგან დაცლილი და დაწრეტილი რჩები მარტო, გამომშრალი სხეულით ხისტ რეალობასთან სახტად და ვერ იჯერებ, რომ ეს შენ, დიახ, სწორედ შენ დაგემერთა.

ბედისწერა

მთელი ცხოვრება სახელს უფრთხილდებოდა. ათას სირთულეს გაუძლო, ათასი ხრიკი მოიგონა გადასარჩენად. მთელი ცხოვრება რაღაცას ამტკიცებდა, თავი მოჰქონდა.

ამ ყველაფერმა მოსპო ურთიერთობის გულახდილობა, ჭეშმარტი სიხარულის და სიყვრულის შეგრძნება. ცხოვრება კვერცხის ნაჭუჭს დაემსგავსა. მთავარია, უცხო თვალისთვის არ ყოფილიყო შინაგანი სიცარიელე შესამჩნევი და სხვას რას დაეძებდა.

გამომშრალი სხეული და სითბოდაკარგული ხელისგულები მხოლოდ მისი იყო და ეგუებოდა. ვერ მიხვდა, როგორ გაეპარა ეს ცხოვრება თითებში მოყოლილი ქვიშასავით.

სწორედ ამ დროს, ამ შეგუებულ ყოველდღიურობაში მოვიდა ის... გამოჩნდა... ასეთი ნამდვილი და თან მიუწვდომელი. ქალი, რომელიც არასდროს განმეორდება. იჯერებდა და ვერც იჯერებდა ამ სასწაულს.

რატომ გამოუგზავნა ბედმა ეს საჩუქარი – განათლებული, თავის თავში დარწმუნებული, ამაყი, ულამაზესი ქალი...

მოგონება მოგონებას სდევდა: „საუკუნეა სანაპიროზე არ ვყოფილვარ... აღარც მეგონა თუკი ოდესმე, გამთენიის ოთხ საათზე, ჯადოსნურ ქალთან ერთად მომიწევდა ქვებზე ჯდომა, ზღვისკენ ყურება და ათას სისულელეზე საუბარი... მაშინაც და ყოველ მომდევნო ჯერზე დიდი იყო სურვილი დამეპყარი და სამუდამოდ მიმეჩინა ჩემს გულში ბინა... ნუთუ არ შეიძლება ჩემში იყო, რომ

მომენატრები ამოგიყვანო, ალერსით გული ვიჯერო და უკანვე საიმედოდ დაგაბრუნო. სულ, სულ ჩემთან იყო... თუმცა, მიუხედავად ყველაფრის, შენ მაინც ჩემთან ხარ, ჩემში. ყოველი დილა შენით იწყება და დღე შენით მთავრდება. ხელის კანკალით ვეალერსები შენს განუმეორებელ სილუეტს და ცხადად შეგიგრძნობ. ყოველ ცისმარე შენს ტკბილ, არომატულ სხეულს ვეალერსები. მარწყვის, ახლად დაკრეფილი ჟოლოს მძაფრი სუნი მატყვევებს და გონს მაკარგვინებს ისე, როგორც იმ პირველი შეხვედრის დროს. შენ ამური ხარ და სიყვარულის შხამით გაჟღენთილი ისარი ისე ღრმად არის სულში გამჯდარი, რომ ვერ ვახერხებ მისგან გათავისუფლებას, თუმცა ვტყუი, არც მიცდია, არ მინდა თავისუფლება, უშენოდ თავისუფლება. აქამდე ჩემთვის უცხო გრძნობა ფეხაკრეფით შემოიპარა ჩემში და დამარწმუნა, რომ სიყვარულს დრო და სივრცე მართლაც არ გააჩნია. მას შეუძლია, დიახ, შეუძლია მკვდარი გააცოცხლოს, უხორცო არსებას ხორცი შეასხას, მისტიური რეალობად აქციოს.

და შენც, ყოველ ჯერზე, როცა ძალიან მომენატრები, ჩემი სულიდან ფრთაშესხმულ ანგელოზად გამოდიხარ და უსასრულობად იქცევი. მე კი სამყაროში ათას მტვრის ნაწილაკად გაბნეული შენი წყალობით შევკოწიწდი და ვიგრძენი, რომ კი არ ვარსებობ – ვცხოვრობ. ცხოვრება ხომ ერთია და ამ ცხოვრებაში სიცოცხლეც ერთი...

და მაინც, გავყურებთ ზღვას და ვფიქრობთ ხმამაღლა – ვინ ვართ ჩვენ ამ ზღვისთვის? ორი მიღმიერ სამყაროში დაკარგული არსება. ვინ იცის მერამდენე სიყვარულის მოწმეა ეს ლურჯი სივრცე და აქვს კი რაიმე სათქმელი ჩვენთვის?.. თუ სულერთნი ვართ...“

– რა გინდა ბედო, რას მიმზადებ? სად გამოჭედე ან როდის გამოჩირკნე ორპინიანი სასწორი ან რატომ ახლა? რა, უფრო ჭკვიანი და დაღვინებული გგონივარ? რა გეგონა, შუა ასაკს სხვა გონება და მორალი მართავდა და ერთი ამოსუნთქვით გავაწონასწორებდი პინებს?

არა, ბატონო, არა!

დაგავიწყდა, რომ ამ ასაკში ადამიანებს ხშირად გულის ფრიალი, ხელის კანკალი და ჩუმი ფიქრები აწუხებთ.

ის ფიქრები, ოცნებები მთელი ცხოვრება, რომ ეძებენ და ვერსად მიაგნეს.

როგორ შეიძლება მათი ახდენა?!

ვინ მოიგონა თითქოს „ერთხელ მაინც“-ო... სულ ტყუილია ეს ყველაფერი...

ეს შენ გგონია, რომ შენ წყვეტ ყველაფერს. ალბათ ფიქრობ, რომ გაიმარჯვე, რომ ეს დაბადებიდან იყო გაწერილი და ვერსად გავექცეოდი. შენ მიგაჩნია თავი ყოვლის მპყრობელად. ახლა, ალბათ, ირონიულად იღიმი და იქედნურად ფიქრობ: „მე ვარ, ბედი მუხთალი და შენ ჩემი წერა ხარ. ეს მე დავწერე შენი წიგნი და სწორედ ეს დრო და ასაკი ჩავწერე იქ...“

ტყუილად გიხარია...

გეფიცები, ეს შენი ფანტაზიის ნაყოფია.

შენ გგონია მე ამაზე არ მაქვს ნაფიქრი? იმდენჯერ მიფრენია ოცნებებში... ცოცხლად შემიგრძვნია და გადამიტანია ის, რაც არ იყო და მინდოდა ყოფილიყო. დიახ, ასე უშენოდ, დაუწერლად... დაუხმარებლად...

დამიჯერე, შეუძლიათ ადამიანებს შენ გარეშეც გაწერონ ოცნებები... შენ გარეშეც გაიკვალონ გზები, ბოლოს და ბოლოს უშენოდ იცხოვრონ...

უშენოდ კიარა, თითქმის უჩემოდაც იმდენი მიმოგზაურია... და ვერასდროს წარმომედგინა ამ ოცნებაში ჩემი გამხმარი სხეული თუ ოდესმე მიაგნებდა აღთქმულ ქვეყანას.

და შენ რა? ერთ მშვენიერ დღეს გინდა ამიხდინო ყველაფერი?

არა ბატონო, არა! დანაშაულია ეს!..

არ შეიძლება ის ოცნება ახდეს, ასე რომ გინდოდა ამდენი წელი...

ან თავის დროზე უნდა ახდეს... ჰო, დროს უნდა შერჩევა...

შემცირებული თვითშეფასებით და ცხოვრებისადმი მუდმივი დაუკმაყოფილებლობით მკვებე, ყოველდღიურ მენიუში მისხამდი ჩვეულებრივობის მიქსტურას და ახლა შეგეცოდე.

რატომ?

ნახევარ გაზაზე რატომ შემაცვლევინე გეზი, რატომ გადამახვევინე უკვე არჩეული ბილიკიდან, გამომშრალი და გამოფიტული, შეგუებული შენგან გაწერილ ჩვეულებრივობას, რატომ გამიმეტე დასაკლავი ცხვარივით?

ისევ დავიშალე და სამყაროს ქაოსს შევუერთდი. გავიფანტე მტვრის ნაწილაკებად...

გზა თავდაღმართზე ჩადიოდა, ერთი პატარა ქუჩაც და სადგურიც გამოჩნდებოდა. იქ ტაქსი და მისი ჯანი, რაც შეიძლება მალე უნდა მისულიყო მონასტრამდე.

საკურორტო ქალაქი, რომელიც დამსვენებლს და სტუმარს ყოველდღიურად იღებდა, მიჩვეული იყო ადამიანთა რიგს.

ტაქსის მძღოლს არ გაჰკვირვებია კაცის სურვილი.

– კარგია, კაცო, მანდ! ერთხელ მეც უნდა ავიდე. ყველა კმაყოფილია, ვინც იქ იყო. აი, დამთავრდება

სეზონი და იქნებ მეც მოვახერხო. – მძღოლი სწრაფად და საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდა, მან ერთ ამოსუნთქვაში ჩაატია კაცის მომავალი გადარჩენის გეგმა. წინიდან მოუარა მანქანას, რატომღაც ბორბალს ფეხი მიარტყა და აბა, წავედითო გადმოსძახა.

უკანა კარი გამოაღო გიორგიმ. მძღოლის გაკვირვებულ გამოხედვას „ასე მირჩევნიაო“ შეაგება და ჩანთას გვერდით მიუჯდა.

გზა ისეთი იყო, როგორც უამრავი სხვა გზა, რომელზეც უვლია. მხოლოდ ფიქრი იყო განსხვავებული. საკუთარ თავს ვერ ცნობდა. მის გვერდით იჯდა ადამიანი, საკუთარ თავთან გაუცხოებული და დათგუნვილი, პატარა ბავშვივით კუთხეში მიტუზული და დასჯილი.

მიდიოდა...

გზას აუცილებლად მიყავხარ რაღაც წერტილამდე, მაგრამ შენ უნდა იცოდე, როდის და სად გადაუხვიო ან მიხვდე, სად უნდა გაჩერდე.

ვინ იცის, იქნებ ესაა ბოლო გაჩერება... იქნებ ვერც გაუძლოს...

უცებ წარსულმა შეახსენა თავი.

როგორ უყვარდა ერთ დროს, როგორ სთხოვა ხელი, მერე ქორწილი, ნამდვილი, დიდი ქორწილი.

ორი სასწაული აჩუქა ნატამ და ბევრი, ძალიან ბევრი მოგონება...

გაახსენდა ბავშვების დაბადება რამხელა სიხარული და სიამაყე იყო – მამა გახდა.

უეცრად მოგონებები გაიხლართნენ და ყველა ერთ მწკრივში ჩადგა.

ვერაფრით გაიხსენა როდის გახდა ნატა ჩვეულებრივი ქალი... როდის შეხედა მას, როგორც შვილების დედას და არა როგორც ქალს... სად

გაქრა ვნება, ამ ერთ დროს უსაყვარლესი ადამიანის მიმართ. რატომ აღარ იზიდავდა მისი სხეული?..

უცბად ელენა დაუდგა თვალწინ, აშხვართული ახალგაზრდა ქალი. შემკობილი ყველა ქალური თვისებით. ვნებითა და ცეცხლით გაჯერებული. ღმერთო, როდის იყო ბოლოს ასე ბედნიერი, როგორც ელისთან...

მოუნდა ახლავე მიეწერა მისთვის და ტელეფონი მოიმარჯვა:

„აუცილებლად... აუცილებლად მოგიტანენ ქარები ზამთრის ვაებებს... არ შეშინდე! მე ახლაც აქვე ვარ და უფრო ახლოს ვიდრე გგონია. სადღაც, უკვალოდ მიმოფანტული ბუხრის ნაცარი აუცილებლად შევგროვდები, აუცილებლად მოვალ ერთ დიდ გუნდად და შემოვენთები შენს მოჩუქურთმებულ ბუხარს, მთელი ცხოვრება რომ შეალიე მის გამოკვეთას. მოვალ და შევეცდები ნაკვერჩხლად გადავიქცე... ამას იმიტომ გწერ, რომ ზუსტად ვიცი, უნდა იცოდე რას განვიცდი ახლა...“

მან უპასუხა:

„ერთი რამ მინდა იცოდე: არიან ადამიანები-ფაქტები, რომლებიც უკვალოდ ჩაივლიან ცხოვრებაში და უბრალოდ დაგავიწყდება მათი არსებობა, მაგრამ არიან ადამიანები – ამბები, როგორც გაკვეთილი, ყოველ დღე საკუთარ თავს, რომ უნდა მოუყვე, რომ დაიზეპირო და აღარასდროს გაიმეორო მსგავსი რამ...“

როგორ მოხდა ეს ყოველივე?

და ფიქრთა წყებაში ამოტივტივდა, შემდეგ წინ წამოვიდა და ცენტრალური ადგილი დაიკავა მოგონებამ, როცა პირველად შეეხო მის სხეულს. თითქოს ასი ათასმა ვოლტმა დაარტყა, სადღაც გულის ფიცართან, ქვემოთ...

როგორ გადარჩა?

კვლავ მოგონებამ დარია ხელი. ახლაც გული ყელში ებჯინებოდა, როგორც მაშინ პირველი კოცნისას. როგორ ეშინოდა სწორედ ეს გული პირიდან არ გადმოვარდნოდა, მაგრამ განა გულიც მისთვის არ უნდოდა? გულიც, სულიც და მთელი სხეულიც მისი იყო და ცოცხლად რომ აეკუწათ არ ანაღვლებდა იმ წუთას... გულსაც თუ დაკარგავდა ვნებით გაგიჟებული, არც ამას დარდობდა...

მთავარია იგრძნო ის, რაზე ფიქრიც ვერ წარმოედგინა. ის ახლა მის საწოლში იწვა და ღმერთო, ისეთი თვალებით უყურებდა დაუჯერებელს დააჯერებდა კაცს.

ეს იყო ელენა.

ამდენი წლის ნაკოწიწები ნატა ცხოვრებამ წაიღო, იმ ღამემ შთანთქა, მერე – მეორემ, მესამემ, მეათემ... თავი დააჯერა, რომ შეეძლო ორივე პინაზე დაედო გული და ორივეგან გულწრფელი ყოფილიყო და ვერც ერთი ვერ გადაწონიდა, სასწორი გათანაბრდებოდა, მაგრამ შეცდა.

ღამეებს ათენებდა იმაზე ფიქრში, საიდან უნდა დაეწყო ახსნა ნატასთვის... და ყველასთვის....

არიან ქალები – თავისი სოციალური სტატუსით „ყველა“ რომ ხდებიან. ეს ნატა იყო. არასდროს მარტო, მხოლოდ სხვებთან და ყველასთან ერთად მოიაზრებოდა. ის და ყველა. ის იყო – ყველა, ვინც კაცის ცხოვრებას შეადგენდა ამდენი წელი. გამჩენ-გამზრდელიდან დაწყებული, მეგობარ-მეზობლით დამთავრებული. სახლით და კარით. იმ ოთახით, სადაც ოდესღაც ვნებიანად კოცნიდა და სადაც მერე მათი ორი შვილი რიგრიგობით იწვა...

ტელეფონს დახედა, ელენას მესიჯი იყო:

„ძვირფასო, გახსოვს ჩვენი შეხვედრა ბაქანზე?...

არასოდეს დამავიწყდება შენი მზესავით მანათობელი თვალები. ერთდროულად ვნებას, პატივისცემას, მონატრებას, სიყვარულით და შეხვედრით გამოწვეულ სიხარულს, რომ ასხივებდნენ!

მაშინ შ ე მ ი ყ ვ ა რ დ ი !

ის ღამე გახსოვს? სანაპიროზე... ერთდროულად შორეული და ახლობელი იყავი ჩემთვის...

იქ ვიგრძენი, როგორ გაჯერდა მთელი ჩემი არსება სითბოთი, ვიგრძენი, რომ ეს არ იყო უბრალო შეხვედრა. ბედისწერამ განკარგა ჩვენი გზების გადაკვეთა! მას მერე ყველგან და ყოველთვის, თვალახელილსა თუ თვალდახუჭულს შენ გხედავ, სულ ჩემთან ხარ... გაბმულად მესმის შენი ძახილი: „მიყვარხარ უზომოდ, უსაშველოდ, უპირობოდ და არ შემიძლია, ვერ შემიძლია უშენობა.“

მე კი ყოველ ჯერზე მეტად და მეტად მიყვარდები. ახლაც გული მეწურება, მარტოობა მახრჩობს, სხეული მეფიტება, დავიცალე და შენ მჭირდები, რომ ავივსო, ურწყულ ყვავილს დავემსგავსე, წყალი მჭირდება და ამ უდაბნოში შენ ხარ ჩემი ოაზისი, ჩემი საზრდო და უკვდავება, სული გეძახის... თავისთან გიხმობს...

სწორედ შენგან ვისწავლე – ნამდვილი, ერთგული, მზრუნველი სიყვარული! მინდა ბედნიერი იყო, უსაზღვროდ ბედნიერი...

მე კი ამისთვის არაფერს დავიშურებ! ასი ათას სიკვდილს გავუძლებ, შენთან ერთი სიცოცხლის ნაცვლად!..

ვიცი, რომ გიყვარვარ ...“

ბარნაბა

მაღალმთიან სოფელში მონასტერი ყველამ იცოდა, მაგრამ გზიდან მთის წვერზე გადმომდგარი სამრეკლოს ქონგური იმდენად გარკვევით ჩანდა, რომ მიგნება უცხო მგზავრსაც არ გაუჭირდებოდა.

უცბად მანქანას წინ კაცი გადმოუხტა, მძღოლმა ძლივს დაიმორჩილა საჭე და გემრიელად შეუკურთხა...

– ბარნაბა, შე სასიკვდილე სად მიდიხარ, სად? – შუახნის მამაკაცს შავებში ჩაცმული ქალი მისდევდა და ქოქოლას აყრიდა.

– შეხედე, შენ! სადაური ყოფილა ეს უბედური. – მყისვე გამოერკვა მძღოლი, თან მოჭუტული თვალებით აკვირდებოდა ჩქარა, თითქმის სირბილით მიმავალ მამაკაცს.

– ვინ არის? იცნობ? – დაინტრესდა კაცი.

– ეგაა, კი! რავა არ ვიცნობ. იმისთანა ბიჭი იყო ახალგაზრდობაში. – მძღოლი ახლა კაცს აკვირდებოდა სარკეში.

– რა მოუვიდა?

– მაგას რომ დამართნია, მტრისას!.. თურმე გოგო უყვარდა, გამგებლის ბიჭსაც ის გოგო მოსწონებია, ქორწილის დღეს მოსულა და დედოფალი გაუტაცია. ამობობენ, მხედრიონის დრო იყოო... ხომ იცი, მაშინ ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. ახლობელი გოგოსთვის ფული მიუციათ, იმასაც დედოფალი გამოუყვანია, მეგობრების საჩუქარს გაჩვენებო. მაშინ სტაცეს ხელი და უკრეს თავი მანქანაში. სამი თვე ეძება ბარნაბამ საყვარელი ქალი. მერე საშინელი ამბავი გაიგო, ქალი გამტაცებელს არ დანებებია და იმ გარეწარს შემოკვდომია.

ის დღე იყო და ის. დადუმდა კაცი.

ეს ბრგე ვაჟკაცი ერთ დღეში თითისტოლა გახდა, გაილია. რას არ ეცადნენ, ყველაფერი გაყიდეს, რაც ებადათ. რა ექიმი, რა ექიმბაში, რა „შელოცვები“...

სარფში, ერთ მოლას ნათელმხილველი დედა ჰყავს, იმასთანაც ჩასულან.

სამი დღე რიგში იდგნენ. გამოსულა ის ნათელ-მხილველი ქალი და თავის ენაზე რაღაც უთქვამს. იქვე გადაუთარგმნეს ბარნაბას ჭირისუფალს: „ამას არაფერი ეშველებაო.“

მერე კი, იცი რა ცხოვრებაც წამოვიდა. ვიღას ეცალა ბარნაბასთვის. გადარჩენისთვის იბრძოდა დიდი თუ პატარა.

დარჩა ეს უბედური ასე, იმ ქორწილში გაიყინა...

ხანდახან გაიწევს ხოლმე, გარბის. სოფლელები ამბობენ, იმ უბედურის სული ეძახის, ალბათ და ესეც მისდევსო.

– კი, მაგრამ იმ გამგებლის ბიჭს და მის ოჯახს არაფერი? არავინ დაუსჯიათ? როგორ შეარჩინეს სოფლელებმა? – მოსმენილმა, აშკარად მდგომარეობიდან გამოიყვანა კაცი.

– გამგებელი მალევე მოხსნეს.. ბიჭი კი დაიხრჩო.

ქარბუქისას შესულა ზღვაში, ნაბახუსევი. ამ ამბის შემსწრე ჩემი მეზობლის სიძეა. გაიქცა, იმ ქალის სახელი დაიძახა და გადეშვაო...

უძებნიათ, მაგრამ ვერ იპოვნეს, წაიღო ზღვამ.

ამ ამბიდან ერთი თვის თავზე, ბარნაბას დედამ სიზმარი ნახა. ის გოგო დასიზმრებია. „დაანებეთ თავი ჩემს ქმარსო“. – უთქვამს საცოდავს. ვერავინ გაიგო ვის გულისხმობდა. ბარნაბას თუ იმ ბიჭს. მოკლედ, ასე ჩაიხლართა საქმე...

მას მერე ასეა ეს უბედური.

დარბის და დასდევს დედა.

ერთმანეთის მეტი არც არავინ ჰყავთ.

ხანდახან გამოეპარება და ქალაქამდე მოდის.

სადგურში ავტობუსის მძღოლებს ეხვეწება ცისიას სოფელში წამიყვანეთო.

ცისია ერქვა იმ გოგოს. უჰ, ნამეტანი ამბავია!

მტერს...

– ცოცხლად დაუმარხავთ ეს კაცი! – მძღოლისკენ არც გაუხედავს, ისე ჩაიდუდუნა კაცმა.

გზა მიხვეულ-მოხვეულ შარად გადაიქცა და ბუნებასაც კი ეტყობოდა, რომ მონასტერთან ახლოს იყვნენ.

– აჰა, ბატონო! – აქამდე ამოგიყვანე, როგორც შგპირდი. ამის იქით, ძალიანაც რომ მინდოდეს, მანქანით ვერ აგიყვან საცალფეხო ბილიკი იწყება ტყე-ტყე. შენით უნდა ახვიდე.

კაცმა ფანჯარა ბოლომდე ჩამოსწია. ნესტოებმა ჰაერი მოხაპა. სამხედრო სამსახურის მერე ასეთი ჰაერი არსად უგრძვნია. მაშინაც მთაში იყო წვრთნები და იქაური გემრიელი ჰაერის გემო იგრძნო ახლაც. ჯიბიდან საფულე ამოიღო, ფული მძღოლს მიაწოდა. იმანაც დაუწყო ხურდას ძებნა. „არაა საჭიროო“ – ხელის აქნევით უპასუხა კაცმა და კარი გამოაღო.

– აბა კარგად. აქეთობისას დამირეკე, ჩემი ნომერი გაქვს. ოღონდ, აქამდე ჩამოდი და აქ კი დაგხვდები – დაუძახა მძღოლმა.

ხელი დაუქნია გამოსამშვიდობებლად. მერე უკანსვლით წაიყვანა მანქანა, მოაბრუნა და ააფხუვლა შარაზე...

გზა მონასტრამდე

შუადღის მზე არ იგრძნობოდა. „ახლა ალბათ იხუთება ქალაქი“ – გაიფიქრა კაცმა, ჩანთა შეისწორა და ბილიკს გახედა. მართლა საცალფეხო იყო, მრავალი ადამიანის ფეხით გადავლილი, გადათელილი. სულ რაღაც ორიოდ მეტრში უკვე ტყის პირი იწყებოდა. კიდევ ერთხელ მოიხედა უკან და თავჩაღუნული შეუყვა ბილიკს.

გზაზე ათასგვარი მეჩხერი ხის ტოტები ედებოდა, ხელს იშველებდა, სახეს არიდებდა მათ. ჰაერი უფრო და უფრო ცივდებოდა. ნესტი ემატებოდა ჟანგბადს.

ათასი პასუხგაუცემელი კითხვა უტრიალებდა თავში და ისედაც ამღვრეულ გონებას სულ უფრო უმღვრევდა. რატომ დასჭირდა ეს ყველაფერი? აშკარაა მირბის, მაგრამ ვის გამოექცა? ან ვის უნდა შეხვდეს?.. რა ვალდებულნი არიან ისინი მას მოუსმინონ და თან შეინახონ, მოუარონ... რატომ უნდა აჰკიდოს თავისი სულის ტვირთი ამ ადამიანებს?

ღმერთო, რა პატარა და უსუსური ვყოფილვარ თურმე, რამხელა მეგონა ჩემი თავი. რატომ დაგჭირდა, უფალო, ამ სიბერეში ჩემი სიმცირე მეგრძნო...

წლები, წლები... არა, სადაა წლები? ვის აქვს ცხოვრების გამზადებული გეგმა? რისთვის მოვედით, რატომ ვარსებობთ, რას ვტოვებთ ან რა მიგვაქვს ამ წუთისოფლიდან...

ბედნიერი ეგონა თავი ამ ერთი წლის მანძილზე. მაინც ვერ გაეგო რა იყო ეს – ყველაზე ნამდვილი და მართალი სამყაროს რომ ატრიალებდა... სიყვარული რომ ერქვა... თუ ნამდვილია და მართლა ჩემია, რატომ მტკივა ასე? თუ არა და აბა ნამდვილი სადღაა

მაშინ? თუ... რადგან მტკივა ამიტომაა ნამდვილი? რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს ტკივილი შვებას მგვრის და კიდევ უფრო ძალიან მინდა მეტკინოს, ძალინ, ძალიან...

ბავშვები გაახსენდა.

სუნთქვა შეეკრა.

რას იფიქრებენ, სახლიდან გაპარვის ამბავს რომ გაიგებენ.

არასდროს მაპატიებენ ლაჩრულ საქციელს – არასდროს!

შვილებს არ უყვართ სუსტი მშობლები! არ უნდათ, ვერ ეგუებიან მათ პიროვნულ სიმცირეს.

გაახსენდა, როგორ უყვარდათ, როგორი გულისყურით ისმენდნენ ბიჭები, როცა ჯარის ამბებს ყვებოდა. გმირი ეგონათ მამა. რიდი და სიყვარული ერთად იგრძნობოდა მათ გამოხედვაში. ახლა რა შერჩათ?! – ერთი დაპატარავებული, გაცრეცილი, შუახნის კაცი. საკუთარი თავის შესაგროვებლად ამხელა გზაზე მიჩაქჩაქებს და ვერ გაუგია რისთვის და რატომ?.. ხვალ რომ დასჭირდეს მათი სიტყვა, გვერდით დგომა, რას იზამენ? მოვლენ? კიდევ მოუსმენენ? კაცს ისიც ვერ გაერკვია იყო თუ არა დამნაშავე მათ წინაშე. არადა, ღმერთმა ხომ იცის, ზუსტად ეს ბოლო ერთი წელი იყო ყველაზე ნამდვილი კაცი, ყველაზე ნამდვილი მამა!

ბილიკი ტყეში შევიდა. თავისებურ უსწორმასწორო და გაბარდულ ხეებში იკარგებოდა გზა. ხელს იშველებდა, ტოტებს სახიდან იცილებდა, ფეხს მძიმედ ადგამდა, მიწა ხორხოშელა იყო, ქვიანი...

ჩიტების ჟივილ-ხივილი იკლებდა იქაურობას.

დააკვირდა, ვერც ერთი ხე ვერ გამოიცნო...

ყველა ერთმანეთს მიამსგავსა, მხოლოდ სიმაღლით და დაღარული ქერქით თუ გამოარჩევდი ერთმანეთისგან. გადაბანძულ – გადაბარდნილი, ერთმანეთში ჩახლართული იყო ირგვლივ ყველაფერი.

„აქ ადამიანს კაი ხანია არ გაუვლია“... – გაიფიქრა და ჰორიზონტს გახედა... ამ მომენტს მომავალში ელის ასე მოუყვება:

„იქ, ჩემს ტყეში ყველა ხეს შენი სახელი დავარქვი... მაგრამ ერთი იყო განსაკუთრებული, აშოლტილი, ულამაზესი ფოთლებით, ცას აწვდენილი ცაცხვის ხე. ის შენ იყავი. სულ გელაპარაკებოდი, ყოველ დღეს ვიხსენებდი შეხვედრის წამიდან დღემდე, ყოველ დღეს სიხარული ეფინა. ეს შენ მოახერხე ჩემო ცხოვრებავ, ჩემო ქალბატონო... მიყვარხარ!

სულ იქ იყავი ჩემთან, ცაცხვის ხე იყავი.“

გონებაში სადღაც წაკითხული ამოტივტივდა: „ხეები არასდროს დგანან ჩვენკენ ზურგით, ადამიანებისგან განსხვავებით.“ ის იქ იყო, იქ, ცაცხვის ხე იყო.

სამი კილომეტრი მაინც არის მონასტრამდეო, – ასე დაუბარა მძღოლმა!

არ იყო გრძელი გზა სამხედრო კაცისთვის, მაგრამ ახლა ისე უსუსურად მიიკვლევდა ბილიკს, ცოტა შერცხვა კიდეც.

მოგონებები ქარის მოტანილი პაწაწინა ფოთლების მსგავსად ტრიალებდნენ მის გონებაში. პირველად ჯარიდან დაბრუნება რომ გადაიფიქრა, ბევრი იწვალა სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა. სულ ასე იყო.

უჭირდა.

შეჩვეული ვერ ეთმობოდა.

იმ დღესაც ზუსტად არ იცოდა რა უნდოდა. იქ, იმ სასწავლო გარნიზონში დარჩენა რატომ გადაწყვიტა? – გული ეუბნებოდა, გამოგივა ყველაფერიო...

რთული რომ იყო, კარგად იცოდა, მაგრამ მაინც წაეპოტინა...

გამოუვიდა!

სრული თხუთმეტი წელი იყო სამხედრო ნაწილში. რამდენი რამე გადაიტანა იმ ბიჭებთან ერთად.

აფხაზეთის ომი...

თბილისის...

ცხინვალის...

გული მოეწურა. წოდებით კაპიტანს, ყველა ომში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული... გულით იბრძოდა, არ შეშინებია, სულს არ იშურებდა სამშობლოსათვის, სიცოცხლეს მითუმეტეს...

საბოლოოდ ყველა ომი წააგეს.

ალბათ ამიტომ აუცრუვდა გული. მალევე მიიღო გადაწყვეტილება, წინანდელივით დიდხანს არ უფიქრია. დაწერა პატაკი და დაემშვიდობა ყველას.

ქალაქმაც სხვანაირად მიიღო.

ომი წაგებული იყო, მაგრამ სამშობლოსთვის მებრძოლი კაცი სხვანაირად დაიტია ოჯახმაც და სამეგობრომაც. სახელმწიფოსგან არაფერი უთხოვია. არც სახელმწიფოს უფიქრია თავის ვაჟკაცზე. პირიქით, ეშინოდათ ბრალი არ დაედოთ რამეში და ხმას ვინ ამოიღებდა.

ტკივილად დარჩა ის დღეები კაცის გონებას. იმ ბიჭების თვალები და სახეებიც სტკიოდა, გულწრფელად რომ სჯეროდათ სამშობლოსთვის ვიბრძვითო.

არავის დაფასებია. მანამდეც არვინ შეჰპირებიათ რამეს, მაგრამ მაინც გული გტკივა ადამიანს.

იმდენი და ისეთი გამოიარეს მაშინ...

თან ასაკიც სხვა იყო... სხვანაირად უცემდათ გულები...

ეჰჰ, გავიდა ცხოვრება იმედგაცრუებაში.

ახლა, ახლა რა ბილიკს ადგას? რა უნდა? რატომ მიდის?

რა დარჩენია იქ, მაღლა ან დაიმსახურებს კი ღმერთთან ახლოს მყოფი ადამიანების თანაგრძნობას?

მაგრამ ამისთვის არ მიდის. რაღაც სხვა უნდა. ამ ტყესავით ჩახერგილი და გახლართული ფიქრის ნასკვი უნდა რომ გამოხსნას. საშველად მიდის, საკუთარი თავის საშველად.

დაბლა ყველაფერი დუღს. ადამიანებს არ სცალიათ ერთმანეთისთვის. იქ ჩქარია ფიქრიც და ხედვაც. „ბეტონისფერი“ ადევს დღეს და ჩაკირულია ყოველდღიურობის რუტინაში.

ბუნება უნდა. სიმშვიდე და ნამდვილი ადამიანები. კვანძის ბოლო უნდა მოძებნოს თუკი საერთოდ არსებობს ის.

მიდიოდა კაცი და მიათრევდა განვლილი ერთი წლის კადრებით დამძიმებულ თავს და სხეულს. მას ისიც ვერ გაერკვია იყო თუ არა დამნაშავე.

განა ბედნიერების და სრულყოფილების შეგრძნება დანაშაულია?

ელი

ელენა, ფიქრი, გონება, მთელი არსება ისევ ელენამ დაიპყრო.

ელი... ელი... დედამიწაზე ანგელოზად მოვლენილი, ასე ახლობელი და თანაც მიუწვდომელი.

ელი... ერთი წელი და მთელი ცხოვრება.

რამდენი ძვირფასი მოგონება დაიტია ამ ერთმა წელმა.

გაახსენდა, როგორ ასწავლიდა ცურვას.

– წყლის მეშინია.

– დამეყრდენი და არაფერზე იფიქრო.

დაეყრდნო. წყალში შესულმა ქალმა გაიბრძოლა, მაგრამ ძლიერი მკლავის შემოჭდობა იგრძნო სხეულზე და დამშვიდდა. მისმა თვალებმა აგრძნობინეს კაცს, რომ შიში გაქრა. ახლა ეს ღვთაებრივი არსება მის გაშლილ მკლავებზე იწვა და ნეტარებდა.

მხოლოდ ის ვერ გამოიცნო კაცმა რა უფრო სიამოვნებდა, წყალი თუ კაცის მკლავებზე ნებივრობა თუ ორივე ერთად.

პირველი ყვავილები გაახსენდა, მეზობლის აყვავებული თუთის ხიდან მოტეხილი ტოტები, რომ მიართვა. სხვა დროს ვინმეს რომ ეთქვა ყვავილი დაიკავეო, გულიანად გაიცინებდა. იმ დღეს კი ბევრი იფორთხიალა იმ თუთის ხეზე, კიდევ კარგი ვერავინ შეასწრო თვალი. ასე, აყვავებული თუთის ხესავით მიადგა ელენას.

ქალი იცინოდა.

კისკისებდა.

შენისლული თვალებით უყურებდა.

მაშინ უსიტყვოდ მიხვდა, ქალს უსაზღვროდ უყვარდა.

– „რა გინდა ჩემგან? ნუთუ ჩემი ცხოვრების გაზაფხული უნდა იყო?“ – ეკითხებოდა და თან სიხარულისგან გაბრუებული უხვად ასაჩუქრებდა საალერსო სიტყვებით.

კაცმა ნაზად აკოცა და მისი სახის ოვალი საჩვენებელი თითით მოხაზა. ხელმა მისი ნაჩუქარი სუნამოს სურნელი გამოიყოლა ქალის ყვრიმალიდან. სიმბოლური იყო – სუნამოსაც „თუთის ყვავილი“ ერქვა...

– „მინდა რომ ვიყო შენი გაზახული, შენი დარჩენილი წლები, შენი გაღვიძება და დაძინება, შენი სიზმარიც მე ვიქნები, შენი შვილების – მამაც“ – როგორი წრფელი იყო ეს სიტყვები, გული და სული ჩადო მათში. იცოდა, გრძნობდა, რომ ქალსაც უყვარდა და ეს სიამაყეს ჰგვრიდა, აბედნიერებდა. ასეთი გულწრფელი ბოლოს როდის იყო არც კი ახსოვდა. მართლა უნდოდა, რასაც ამბობდა. ახდენილი ოცნებასავით უჩვეულო და თან ისე ახლობელი იყო ქალი.

ყოველი დღე დღესასწაული იყო ელენას გვერდით.

დღე-ს ა ს ა წ ა უ ლ ი...

არვინ და არაფერი ახსოვდა მაშინ. პატარა ბიჭივით გატაცებული უყვებოდა თავის ცხოვრებაზე. ყოველი წუთი ახარებდა, ყოველი წამი ნამდვილი და მხოლოდ მისი იყო. ასე ყოველდღიურობაში იზრდებოდა და უფრო მკაფიოდ იძერწებოდა საყვარელი ქალის ხატება.

ყველაფერს მისთვის და მასთან ერთად ქმნიდა.

დილა, შუადღე, საღამო მისი იყო, ელენასი...

გეგმავდა და თაფლობდა წელიწადი.

უკვე მკაფიოდ ჩანდა ტაძრის კედლები. შეამთავრა ბოლო აღმართიც და უკან მოიხედა. მაინც ვერ გაეგო, ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო რატომ ამოვიდა აქ...

აქ უშველიან...

აქ დაულაგებენ, დაუვარცხნიან აწეწილ ფიქრებს.

მერე აქედან წასული, დალაგებულ-გაუთოვებული გრძნობებით დაიწყებს ახალ ცხოვრებას.

ვისთან? როგორ? ამის პასუხი ჯერ არ იცოდა.

საბოთხე

ალაყაფი ძველი, დრომოჭმული და ცოტა ჟანგ-შეპარულიც აღმოჩნდა.

სახელური არ ჰქონდა. უბრალოდ ხელისგული მიადო კარს და შეაღო. თუკი როდესმე წარმოიდ-გენთ როგორ შეიძლება ცოცხლად სიზმარში შესვ-ლა, აი, ბატონო, დაახლოებით ასეთი იყო ტაძრის ეზო, ზღაპრული, სიზმარეული.

მოვლილი და ნალოლიავები კოინდარი ნაწვიმარ ეზოს უფრო მუქ და სასიამოვნო ელფერს აძლევდა. ტაძრის ცენტრალურ შესასვლელამდე ბილიკი იყო გაწოლილი. თითქოს მარტივად გასავლელი. ცოტაც რომ ჩაკვირვებოდი, მისი ტკბილ-მწარე მოგონებებით სავსე დღეებს შეიგრძნობდი უმალ.

„აქაც ბილიკი“ – გაიფიქრა გიორგიმ და ზედ შედგა.

შუადღის ლოცვას კითხულობდა ახალგაზრდა ბერი. იქვე, დაჩოქილი ორი ასაკოვანი მამაკაცი ილანდებოდა.

დღის სინათლიდან შემოსულს უჭირდა, კარგად ვერ არჩევდა ტაძრის შიგნით რა ხდებოდა.

თაფლისა და სიმშვიდის სურნელი შემოეხვია.

ახლაღა იგრძნო დაღლა.

ნაბიჯი გადადგა და ამბიონის წინ მდგომ ბერს თვალი გაუსწორა.

მშვიდი, სიკეთით სავსე იყო საპასუხო გამოხედვა. ბერიც ოდნავ თავის დაკვრით მიესალმა, გაუღიმა და კითხვა განაგრძო.

„...რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ...“

მხოლოდ ეს ფრაზები ეცნო.

ჩაებღაუჭა.

ლოცვის დასრულებამდე იმეორებდა აკვიატებულ სიტყვებს.

გარეთ, კართან მორჩილი ბავშვივით აიტუზა და დაელოდა ბერების გამოსვლას.

– გამარჯობა, გიორგი! – მოესმა ზურგს უკან.

– გამარჯობა! – მოიხედა და ახალგაზრდა, მასზე ოდნავ მაღალი კაცის ღიმილი შეეგება.

– კარგია რომ მოხვედი, ისე გუშინ გელოდებოდი.

– ხო, რა ვიცი – დაიბნა კაცი – ვერ მოვახერხე გუშინ.

– დიდი ხნით მოხვედი?

– რა ვიცი... არ ვიცი, როგორც იქნება...

– იქნება გიორგი, იქნება. ყველაფერი კარგად იქნება. – ისევ გაუღიმა ბერმა.

– მე ბერი იოსები ვარ. ასე, სახელით მომმართო შეგიძლია, ახლა შენს სენაკს გაჩვენებ, მერე გაგაცნობ აქაურობას. ცოტა დაისვენე, ნამგზავრი ხარ. ჩვენ ბევრი დრო გვაქვს...

– მადლობა, იოსებ! – აღმოხდა გიორგის.

ტაძრის უკან ბერების საცხოვრებელი იყო. სამსაფეხურიანი კიბე დიდ, გრძელ აივანზე ადიოდა. სულ რვა კარი დაითვალა გიორგიმ.

ბოლო კარი გაუღო იოსებმა და ისევ ის მადლიანი ღიმილი გააყოლა.

– აი, ესაა შენი სენაკი, ბერმა ლუკამ დაგითმო. მოვუყევით შენზე და რამდენ ხანსაც უნდა იცხოვროსო – თქვა. მასაც გაიცნობ. ახლა კი დაისვენე. ერთ საათში სატრაპეზოში გელოდები. – ტაძრის მარცხენა მხარეს, პალატად დადგმული მომცრო შენობა დაანახა იოსებმა.

– მადლობა, მადლობა დიდი, – თქვა გიორგიმ – ახლა ეს თანადგომა ძალიან მჭირდება მორცხვად ჩაილაპარაკა და უხერხულად გაეცინა.

– ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვჭირდებით გიორგი, არ ეგების უერთმანეთოდ, არ ეგების! ერთ საათში შევხვდებით. – დაუბარა და გაბრუნდა ბერი.

მსუბუქი, თავისუფალი ნაბიჯით გაიარა იოსებმა, ერთი მობრუნება მობრუნდა, ხელი აუწია და წავიდა. კაცმა შუქის ასანთებს დაუწყო ძებნა, მაგრამ გაახსენდა სად იყო და საკუთარ თავზე გაეღიმა.

ასანთი და სანთლები მრგვალ ძველებურ პატარა მაგიდაზე დაეწყოთ.

მაგიდის გვერდით ვიწრო რკინის ლოგინი კედელთან ბოლომდე იყო მიდგმული, თეთრი ზეწრით და კუბოკრული მუქი ფერის პლედით. სარკმელზეც იმავე ზეწრის ფარდა ეკიდა. ბებიების დროინდელი განჯინის ნახევარი შემოეტანათ, შესასვლელში დაედგათ, ესეც ბოლომდე კედელთან მიეწიათ წარსულის მოგონებასავით, ორი დახურული თაროთი. მივიდა, გამოაღო.

ჩანთიდან თავისი ნივთები ამოიღო და მოკრძალებით შეალაგა.

სანთელი არ აუნთია.

ტანისამოსიანი მიწვა ლოგინზე და იქვე „ლუკას სახარება“-ს მოჰკრა თვალი.

წამოდგა.

აიღო.

გადაშალა.

ვერა, ახლა ამას ვერ წაიკითხავს.

მაგიდაზე დადო სანთლების გვერდით და კედლისკენ გადაბრუნდა. ფეხის კუნთებიდან დაიძრა სიმშვიდის ტალღა. წელს და ხერხემალს ამოჰყვა და როცა კისრამდე მიაღწია, იგრძნო, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდა.

თვალები დახუჭა.

ბერები

სატრაპეზო მაგიდა გრძელი იყო, შვიდ-რვა, კაცზე გაშლილი. მაგიდის თავში იოსები იჯდა, აქეთ-იქით ორი ახალგაზრდა ბერი. დანარჩენებიც იქვე ტრიალებდნენ, უკვე სამხრობის დრო იყო.

ლობიო, სალათა, წვრილად დაჭრილი მწვანილით, ყველი და იმერულად გამომცხვარი თხელი ჭადები შემოუწყვეს სუფრას.

გიორგი შევიდა და კართან გაჩერდა...

– შემოდი გიორგი, შემოდი, დაბრძანდი. მთის ჰაერმა ხომ არ დაგღალა? თავს როგორ გრძნობ სტუმარო? – ჩვეული ტკბილი ღიმილი შეაგება იოსებმა.

გაეღიმა, მეც რამეს ვიზამო – გაშლილი ხელით ანიშნა იოსებს და იქვე მოფუსფუსე ბერებს გახედა.

– დღეს ასე იყოს ჩემო კეთილო, ხვალიდან შენც გამოგიჩენთ საქმეს. დაისვენე, ვისამხროთ, გაგვეცანი, ჩვენც წარმოგიდგებით. არ ჩანხარ შენ მალე წამსვლელი კაცი, ხომ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს.

– ასეა ასე, დაბრძანდი – იოსებს სიტყვა ჩამოართვა ასაკიანმა ბერმა.

– მე ბერი ნიკოლოზი ვარ.

– მე დავითი.

– მათე.

– თორნიკე.

– სასიამოვნოა. შევეცდები გამოგადგეთ საქმეში, – ცოტა დარცხვენით, მაგრამ მტკიცედ თქვა კაცმა.

– გიორგი გქვია ხომ? – ჩაეკითხა ლუკა.

– მერქვას გიორგი... ანდა რა მნიშვნელობა აქვს სახელს? მე გადასარჩენად მოვედი. „გადარჩენა“...

ვფიქრობ ეს სიტყვა ზუსტად ხსნის ჩემი აქ ყოფნის მიზეზს.

– კარგ საქმეზე მოსულხარ გიორგი, კარგად თქვი. უფალი დიდია და მოწყალე, გაპოვნინებს გზას და მოგცემს სიმშვიდეს. ჩვენ თუ რამე შეგვეძლება აქ ვართ. – იოსებმა გვერდით მოისვა „გიორგი“ და პატარა დოქიდან თხელ გამოყვანილ ჭიქაში ღვინო დაუსხა.

– დაილოცე. თან გაგვისინჯე. ჩვენი დაწურუ-ლია. ტაძრის გადაღმა ვენახი გვაქვს, ვუვლით. არ დგება ცუდი ღვინო. აქ ყველაფერს ჩვენ ვაკეთებთ. ვბა-რავთ, ვთესავთ, მოგვყავს მოსავალი. თავიდან რომ მოვედით ხეხილი ცოტა იყო, ცოტაც ჩვენ მივუმატეთ და გავდივართ ასე, ღვთის ლოცვა-კურთხევით. ბევრი ჩვენ არ გვინდა. ცოტა და ჩვენი ნაშრომი გვყოფნის უფლის სადიდებლად, სულის მოსაბრუ-ნებლად...

– ეს სახლია გიორგი, ჩვენი სახლი. არა, უფლის სახლი და ჩვენ მისი სტუმრები ვართ, გზააბნეული სტუმრები და ისიც დიდსულოვნად გვმასპინძ-ლობს. იტანს ჩვენს ადამიანურ შეცდომებს. ჩვენ კი ამ დიდსულოვნებას ვცდილობთ ღირსეულად ვუპასუხოთ. საქმეს კი, საქმეს რა დალევს სახლში, ჩემო კეთილო.

ერთმანეთს ასწრებდნენ ბერები გიორგისთან საუბარს. იოსებმა გულზე დაკიდებული ჯვრით სუფრა აკურთხა. სამხრის ლოცვის კითხვა დაიწყო. ყველანი ისხდნენ. იოსები, ნიკოლოზი, თორნიკე, ლუკა, მათე. მათ მიეკედლა გიორგიც. რა შორეული იყო ეს ხალხი მისთვის და ამავდროულად ისე ახლობელი. უეცრად მთელს ტანში სითბომ დაუარა. მერე სისუსტე იგრძნო სხეულში, მოეშვა, მოუდუნდა

ყველა ნაწილი. დიდი ხნის მგზავრობის მერე, საკუთარ სახლში დაბრუნებულივით მოდუნდა.

ლოცვა გათავდა და პირველი ჭიქა იოსებმა ასწია. უფლის დიდება და დედამიწის მშვიდობა ითქვა. ყველამ დალია. არასდროს მსგავსი არაფერი უგემნია გიორგის. ბალზამი და თაფლი ერთად მოდიოდა ჭიქიდან.

– ახლა სტუმრისა იყოს. – თქვა ლუკამ.

როცა ჭიქას აწვდიდა, გიორგის თვალს არ გამოჰპარვია ლუკას ხელის ძლიერი კანკალი. არ დაექცესო და თავისი მარჯვენა შეაგება. მან შეატყო, გაეღიმა და დაიწყო:

– მთელი ცხოვრება უშნოდ და უკვალოდ ვიცხოვრე, გიორგი. ყველა მავნე და ცუდი ზნე შევითვისე და ბოლოს აქ რომ მოვხოხდი, საკუთარ კიდურებს ვეღარ ვგრძნობდი. ოთხმოცდაათიანელი ვარ. დენთის სუნი და ნარკოტიკი ცხოვრების ჩემეული წესი იყო. როცა აზრზე მოვედი, უკვე ნახევარი კაცი ვიყავი და გონება დაბინდული მქონდა. აი, დღეს კი ნახე, დავდივარ, ვშრომობ და მადლობა უფალს, შემიძლია უკვე კაცს ჭიქაც მივაწოდო. დამიჯერე, ეს მეორედ დაბადებაა, გიორგი. მადლობა უფალს გადავრჩი და ჩემი წაწყმედილი სულიც მოვათრიე აქამდე.

იმდენად უშაუალოდ და მარტივად მოყვა ამხელა ამბავი ლუკამ, რომ ცოტა შეიშმუშნა კაცი, ეუხერხულასავით.

– აი, მე დიდი სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმი ვიყავი. მზესავით ბიჭი შემომაკვდა ოპერაციის დროს. შეცდომა ჩემი იყო. ვერ გავთვალე რაღაცეები და ვერც თავს ვაპატიე... ყოველი დღე მის სულზე ლოცვით იწყება და ღამეც მასზე ლოცვით გაილევა ხოლმე. ჩემი ფეხით ჩავბარდი სამ-

ხედრო ჰოსპიტლის გენერალურ ინსპექციას და წვრილად მოვყევი ყველაფერი. რაღაცნაირად გამამართლეს, გამოცდილი, დამსახურებული, დაფასებული და სახელმოხვეჭილი ექიმისგან შეცდომა ვერ წარმოიდგინეს ან ვერ მიხვდნენ, მაგრამ მე ხომ ვიცოდი სად დავუშვი შეცდომა, მე ხომ ვიცოდი, ჩემი ბრალი იყო, რომ შემომაკვდა. შვება ვერ ვპოვე, ვერ გავჩერდი. დღემდე მაინც ვერავინ გამიგო. ახლაც არ ესმით რატომ დავტოვე ყველაფერი, უკვე მეხუთე წელია აქ ვარ. – წარმოსთქვა მათემ, ხმელმა, ჭროღათვალებიანმა ბერმა.

– დიდება უფალს! – თქვა იოსებმა და გიორგის გახედა.

– შენ გიორგი არ გქვია ხო? – უცებ ისევ იკითხა დავითმა. ყველამ კაცისკენ მოაბრუნა თავი.

– არა, მე გორგი არ მქვია. ეს ჩემმა მეგობრმა შოთამ გითხრათ ასე. რა ვიცი, არ მინდოდა ჩემი სახელით მოვსულიყავი. რაღაც არ მინდოდა, ოღონდ რატომ არ ვიცი. მერე თქვენ გითქვამთ მოვიდესო, სახელს ჩვენ შევურჩევთო და აი, გავხდი გიორგი.

ლუკას გაეღიმა, – ასე სჯობს, გიორგი ყველას სახელია, ლამის მთელი საქართველოსი... რადგან არ გინდა საკუთარის გამხელა, არც გაძალებს ვინმე. იყავი გიორგი. კაცმა მადლობის ნიშნად თავი დახარა და მარცხენა მხარეს მკერდთან გაშლილი ხელი მიიდო. გადახედა სუფრასთან მსხდომთ და...

– გულწრფელად გითხრათ არ ვიცი რა მინდა, რატომ მოვედი არც ის ვიცი. თავდაყირა დავაყენე ცხოვრება. თითქოს არც არავის წინაშე ვარ ვალში. არადა ყველასთან დამნაშავე ვარ. ყველასთან და ყველაფერთან რაც და ვინც გამაჩნდა დღემდე. მოვედი, რომ ეს დაქიაქებული თავი შევაგროვო და გონება გავინათო. უფლის იმედით და ძალით იქნებ

სწორი გზა ვიპოვნო თქვენთან ერთად. არაფერს ვითხოვ და თითქმის ყველაფერს. – თავი დახარა ...

– არავინაა აქ ანგელოზი, გიორგი, ყველა ცოდვის შვილები ვართ. შენ შენი მოყევი და თქვი. ჩვენ ჩვენსას გეტყვით. უფალი დიდია. დაგვანახებს გადარჩენის გზას. – ლუკამ მხარზე ხელი დაადო გიორგის. – ადამიანებს ჩვენი ტრაგედია და ტკივილი ყველაზე დიდი და ძლიერი გვგონია. გზა და ხსნა კი ერთია – სულ ცოტათი მაინც მიუახლოვდე უფალს, რომ შეძლო შენი ლოცვის დაწერა, შენს გულში აღმოაჩინო უფალი. უკვე დაწერილი ლოცვების გვერდით, შენს სიტყვებს რომ მოუმარჯვებ და გულს და ნაფიქრს ჩააყოლებ ესაა გულწრფელი ლოცვის მადლი, უფლის წინაშე შენი ავ-კარგის ზიარება. ესა ვართ სულ, მეტი არც არაფერი შეგვიძლია. – ლუკამ ჭიქები შეავსო და ყველას სათითაოდ გადახედა.

ბერმა ცხოვრებისეული სიბრძნე, ისე უბრალოდ, ისე მარტივად წარმოთქვა, რომ გიორგიმ შვება იგრძნო, ცრემლები მოადგა თვალებზე. ჭიქა აიღო, ადიდა ღმერთი, დალოცა მასპინძლები. მოკლედ მოყვა თავისი ამბავი. როგორ ცხოვრობდა ამდენი წელი, როგორ ეგუებოდა ყოველდღიურობას. მოყვა ნატაზე, ორ ანგელოზზე. მერე ყველაზე მთავარი ელენა ახსენა. უამბო ნამდვილ და ერთადერთ სიყვარულზე. არაფერი დაუმალავს. ყველაფერზე ისაუბრა. თავისი გაურკვევლობის და აქ მოსვლის მიზეზსაც ფრთხილად შეეხო. არ ვიცი რა ვქნაო? საით უნდა წავიდეო. არა, განა არ ვიციო. მინდაო რომ ისე გავაკეთო არავის ვატკინო და თან მართალიც დავრჩეო...

ბერები ჩუმად ტრაპეზობდნენ, სიტყვა არავის შეუწყეტინებია კაცისთვის. ვერ გაიგებდი სად ეთანხმებოდნენ და სად არა.

კაცმა თითქმის დაასრულა ამბავი. ბოლომდე გულიდან ამოიღო და გაშლილ სუფრაზე წაქცეული დოქიდან გადმოღვრილი ღვინოსავით დაალბო ირგვლივ ყველაფერი...

არასდროს ყოფილა ასეთი გულწრფელი.

მხოლოდ ელენასთან.

უფლის სახლის გვერდით და მის კალთას შეყუჟულ ამ ბერებთან ისეთი უშუალო და მარტივი იყო ყველაფერის თქმა. არაფრის მორიდებია, ინტიმური, მეტად პირადი მოგონებებიც გაუზირა მათ. არაფერი დაიტოვა შიგნით.

ბერები უსმენდნენ კაცს, რომელსაც სახელი თვითონ დაარქვეს.

ამბობა დაასრულა და ჭიქა ერთი ყლუპით გამოცალა... მაგიდაზე დადგა ცარიელი და გახედა. წითელი ღვინის ლაქა თხელი ჭიქის კედლებს აკვროდა და ახლა ნელა-ნელა ფსკერისკენ მისრიალებდა ბლანტი სითხე. იოსებმა ახლა ნიკოლოზს მიაწოდა ჭიქა და კაცმაც მისკენგამოიხედა. უფლის დიდებით დაიწყო და თავისი ამბით დაასრულა ბერმა.

– დიდ ავტობანზე, წინა ღამით ნამთვრალევს, საჭესთან ჩასძინებოდა. თვითონ კი მარტო ყოფილა, მაგრამ მანქანას, რომელსაც შეეჯახა, ქალი მართავდა. ორი შვილით დასავლეთიდან მოდიოდა თურმე უბედური. ადგილზე გარდაცვლილა ქალი და პატარა გოგონა. ბიჭი გადაურჩენიათ. ქალი მარტოხელა ყოფილა და არც არავინ ჰყოლია მოხუცი მამის გარდა. მომჩივანიც არავინ ჰყოლია თურმე. უბედური შემთხვევის გამო მხოლოდ ხუთი წელი მოუხდია სასჯელი ოცდათექვსმეტი წლის კაცს. იქიდან გამოსული მისდგომია იმ ქალის მოხუც

მამას. დავუჩოქე, პატიება ვთხოვე. მოხუცს არაფერი უთქვამს, გვერდზე ოთახში გამიყვანა, პატარა ბიჭუნა მაგიდასთან რაღაცას ხატავდა, იქნებოდა მაშინ ასე რვა-ცხრა წლის. – ყვებოდა ნიკოლოზი – ბაბუმ ჩემი თავი გააცნო – ბიძაშენი მოვიდაო. ბავშვს სიხარული და გაკვირვება ერთად არევია სახეზე. მოხუცს დაუვალებია ნკოლოზისთვის: – „უნდა უპატრონო, ძალიან ნიჭიერია. ყველა ამბობს, სასწაულად ხატავსო. ცუდი დაიაგნოზი მაქვს, ამ ზამთარს ვიცი ვერ გადავიტან და არ მინდა ბავშვთა სახლში მარტო დარჩესო. შენს გათავისუფლებას ველოდი და ახლა შენ იცი – გადაწყვიტე რას იზამო! ჩემთვის სიკვდილის ტოლფასია ამის თქმა, მაგრამ რადგან მოხვედი და აქ ხარ ეტყობა უფალს ასე უნდოდა. წაიყვანე, გაზარდე და უპატრონეო.“ – მეგონა მეხი დამეცა. იმაზე უარესად ვიყავი, ვიდრე იმ ავადსახსენებელ დღეს. რას მეუბნებოდა ეს კაცი, რა ჯანდაბა უნდა მექნა, რა მეღონა არ ვიცოდი...

ბევრი არ მიფიქრია, ღმერთის სახელი ვახსენე მეც, მოვკიდე ბიჭს ხელი და წამოვიყვანე. იმ ზამთრის მიწურულს მართლა გარდაიცვალა მოხუცი. დავკრძალე და გამოვკეტეთ იმ სახლის კარი, წამოვიყვანე ბიჭი და წამოვედი.

თბილისში დედა მყავდა და დიდი ხნის წინ გაშორებული მეუღლე. ცოლთან ბავშვი არ მყავდა. ქვეყანა შევძარი, ბიჭი ჩემს გვარზე დავწერე და ცოტა ხანი ვიცხოვრეთ ერთად, მაგრამ მაინც ვერ შევძელი ამ ყველაფრის გათავისება. საბოლოოდ დედა-ჩემს დავუტოვე პატარა და მეც აქეთ წამოვედი, იქნებ უფალმა ძალა მომცეს და ამ ყველაფერს შევეგუო.

ყურებს არ უჯერებდა კაცი. მოსმენილმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. რას არ უძლებს ადამიანი. რა იყო მისი ისტორია ამ ხალხის მონაყოლთან შედარებით. შერცხვა.

დაშვებული შეცდომებისა და უარესის ჩადენის შიში აერთიანებდა ამ ადამიანებს აქ.

ერთმანეთზე უცნაური და სასწაული ისტორიები ჰქონდათ ბერებს. რამდენი ჩვენნაირი გზააბნეულისთვის უნდა გაეძლო უფალს. მოეძებნა გული და ძარღვი დამნაშავე თუ უდანაშაულო კაცებისთვის. ვის და რის იმედზე იყო შექუჩებული ამდენი ნატკენი სული ერთად. სად იყო ღმერთი ამ დროს, რომელთან უფრო ახლოს იყო, რომელი უფრო დიდ შვებას ელოდა მისგან...

ჩვენ ხომ ცოდვიანი ეგოისტები ვიბადებით და ღმერთის სიყვარულშიც კი შეჯიბრი შეგვიძლია...

სიყვარულის ორმოცი მიზეზი

დიდი ქალაქის დიაგნოსტიკური ცენტრის გინეკოლოგიურ კაბინეტთან ათი-თორმეტი ქალი ელოდა თავის რიგს. ექთანმა ოთახიდან თავი გამოყო, თვალებით გადაითვალა პაციენტები – „თორმეტიო!“ – დაუძახა ექიმს და კარი ისევ მიიხურა.

ელენა მერვე იყო.

წუხელ თეთრად გაათენა, ვერ გაიგო ტკივილისგან იყო ასე დაცლილი თუ ფიქრისგან.

ორი თვე გაურკვევლობასა და უიმედობაში გააატარა. არადა ამას არ იყო ნაჩვევი მისგან. თავის ელის ეძახდა, თოჯინას და საკუთარ ბავშვს. ისე ეპყრობოდა ხანდახან თავი ბროლის ქანდაკება ეგონა. ხელი რომ გაეშვა გიორგის, დაიმსხვრეოდა. ყველაფერი თითქოს სიზმარი იყო და ლამაზი, გამოგონილი ზღაპარივით სადღაც გაქრა..

ყოველ წამს იხსენებდა შეხვედრათა გრძელ რიგს, გონებით მოგზაურობდა ტკბილ წარსულში, ყოველი სიტყვა ახსოვდა, ყოველი მოქმედება. ნეტავ სად არის ახლა? გიორგი არ პასუხობდა მის ზარებს და ამ იდუმალების ატანა აღარ შეეძლო, ამიტომაც მის მეგობარს დაურეკა. აქამდეც არაერთხელ მოიმარჯვა ყურმილი, მაგრამ რაღაც ძალა აკავებდა, ვერ გაეგო რიდი იყო თუ შიში. ამ საუბარმა უფრო ააფორიაქა.

მონასტერში გადავაწყვეტინეთ წასვლაო. – ყვებოდა ყურმილს იქეთ გიორგის მეგობარი. იქ იქნება ცოტა ხანსო. ასე სჯობსო. სახლში ისეთი აურზაური ჰქონდა, იქ გაჩერება კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობას გამოიწვევდაო. თითქმის ყველა გადაიკიდა და ცოცხალ-მკვდარი ძლივს მივიდა ტაძრამდეო.

„სხალთის“ მონასტერი ყოფილა, სადღაც და იქ არის ახლა ბერებთნ ერთადო. ჩამოვა და შეგეხმიანება აუცილებლად. შოკისმომგვრელი ბოლო წინადადება იყო – ანალიზების პასუხი მოსვლია მის ცოლს გერმანიიდან, ძალიან ცუდად ყოფილა და ამ ფაქტმა სულ გააგიჟაო. უკვე გადაწყვეტილი, დაგეგმილი განშორება გადაადებინა და თან რა ფორმითო. ბავშვები ხმას არ სცემენ, მშობლებმა ერთი ამბავი დააწიეს და მეტი გზა არ იყო, უნდა წასულიყოო. შენთვის გადმოსაცემად არაფერი დაუბარებია, უბრალოდ ის თქვა – ჩამოვალ და მერე ავუხსნი ყველაფერსო. დაველაპარაკები და დარწმუნებული ვარ ელენა გამიგებსო.

ქალს არაფერი უთქვამს, მხოლოდ დაემშვიდობა მოსაუბრეს და ხელის კანკალით გათიშა ტელეფნი.

ის, რაც ბოლოს მოხდა საერთოდ არ ჰგავდა მანამდე არსებულს. გაგონილი სიტყვები ერთმანეთში იხლართებოდა. მონასტერი, ბერები, ანალიზის პასუხი, დაგეგმილი განშორება და ყველაზე მთავარი, გამიგებსო, ეს სიტყვა რამდენჯერმე გაიმეორა გონებაში. ყველაფერის გაგება შეეძლო, ის ხომ ძლიერია, ყველაფრის პატიებაც, მაგრამ სად იწყებოდა სიმართლე და სად მთავრდებოდა ტყუილი ამას ვერ ხვდებოდა.

მას უყვარდა ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული, ერუდირებული მამაკაცი და ახლა რას ისმენს, რა მონასტერი, რა განშორება, ვინ მეგობარი უხსნის ამ ყველაფერს.

ხვდებოდა, რომ საერთოდ ვერაფერს ხვდებოდა. კაცმა ექიმთან გაუშვა, შენგან შვილები მინდა ჩემი გვარისო. ჩვენს შვილს შენი თვალები და თმები ექნება და მე არასდროს მოვკვდებიო. აუხდათ ეს ოცნება და ახლა რა მოისმინა, არაფერი ესმის.

როგორ უნდოდა ახლა, სწორედ ახლა ყოფილიყო ძლიერი, მაგრამ ვერ ახერხებდა. როგორ უნდა გამკლავებოდა იმას, რაც ასე წვავდა და ფერფლავდა, როგორ უნდა გამკლავებოდა ამ ტანჯვას.

ახსენდებოდა ელენას პირველი ღამე სანაპიროზე. ისიც აგონდებოდა როგორ გადაწყვიტა დაესრულებინა თავისი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები, ჩაეშვა ღუზა და გიორგის სახით ნავსაყუდელს მინდობოდა.

ცრემლები წასკდა მიმღებში მჯდომს. ღაწვები ცხელმა ზოლებად წამოსულმა ნაკადმა დაუსველა. ტიროდა, ტიროდა და გრძნობდა, რომ ახლა ისეთი სუსტი და უსუსური იყო, როგორც არასდროს. მოერიდა. სწრაფად გახსნა ჩანთა ხელსახოცისთვის. ტელეფონი გადმოუვარდა. კვლავ ჩანთაში ჩადებას აპირებდა, აპლიკაციაზე თითი რომ მოუხვდა და „ნოუტი“ გაიხსნა, მიჰყვა ელენა თავის ტრადიციულ ჩანაწერებს. ერთ დროს თავს იქცევდა ამ საქმინობით. ერთი წაიკითხა, ორი, სამი და აი, ისიც იპოვა, სულ თავიდან, პირველად რომ დაწერა გიორგიზე.

„ვზივარ მატარებელში... ვერ ვხვდები როგორ აღმოვჩნდი აქ... რატომ ავიღე ბილეთი? რატომ წამოვედი?

არ ვიცი...

მივენდე ბედს. ცხოვრებას არ შევეწინააღმდეგე და აი, ახლა ვზივარ №804 მატარებელში, პირველი ვაგონის, 68-ე ადგილზე.

ზურგით – მომავლისკენ, სახით კი წარსულისკენ და ველი მის დაძვრას ...

რა ხდება? არ ვიცი... საერთოდ არაფერი ვიცი!

აქ როგორ აღმოვჩნდი, რატომ, რისთვის ან ვისთვის“...

ბედს მინდობოდა ქალი, ოცნება რეალობად რომ უნდა აქციოს. ის პატარა, ლამაზი ისლის სახლი,

გონებაში ათასჯერ რომ გარდაქმნა კონკიას სასახლედ, ახლა რეალობას მოარგოს და იქ მშვიდად წყნარად დაიბუდოს. მისი განვლილი ცხოვრება მჩქეფარე მდინარეს წააგავდა, ნაპირებს რომ ეხეთქება და ხან ანგრევს, ხანაც თავად გაილევა ხოლმე. გურამის, ბავშვობის მეგობრის, სიტყვები გაუცოცხლდა მეხსიერებაში – „ცხოვრება მხოლოდ არსებობა ხომ არაა ელენა. ცხოვრება ბრძოლაა თავისი ტკბილ-მწარე შედეგებით. ცხოვრება გრძნობებია, სურვილებია და ბოლოს და ბოლოს, ფიქრები და ოცნებებია, რომელსაც ადამიანი შეძლებისდაგვარად აიხდენს ხოლმე.“ რომელიღაც მწერლის სიტყვებიც ამოუტივტივდა „თუ გწამს, თუ გიყვარს, თუ იტანჯები – შენ ადამიანი ხარ“ და გული მოეწურა, აღარ ტიროდა, იგრძნო, რომ ძალუმად შეჭიდებოდა ცხოვრებას და დანებებას არც კი ფიქრობდა.

აქამდე ეგონა სიყვარულს ფრთები ჰქონდა და სამყაროს შემოიფრენდა, მაგრამ ამდენ ტანჯვას კი არ ელოდა. თუმცა ცდება აქამდე დაფრინავდა, ახლა თითქოს ფრთები მოსაჭრელად გაამზადეს, მაგრამ არა, ამას არ დაუშვებს, თავის ფუმფულა ფრთებს არავის დაანებებს.

მას უნდა ისეთი სიყვარული იგრძნოს მხოლოდ სოფიასა და რაულს რომ ჰქონდათ იქ, სადღაც მითებში. ოოო, რა დიდი სიამოვნებით გადაიკითხავდა კიდევ ერთხელ ამ გაჭირვების ჟამს ისიდას ჰიმნს, ლეილი და მაჯნუნიც გაახსენდა. ლეილასთვის მკვდარი მაჯნუნი და მტკიცედ გადაწყვიტა გიორგის სიყვარულს არ დათმობდა, არც ახლა და არც მერე. არ აპირებდა დიდსულოვანი ბანოვანის როლის მორგებას, უბრალოდ მიმტევებელი და სხვა თუ არაფერი, ადამიანი იქნებოდა. ეს გა-

დაწყვიტა ურყევად და მიხვდა მხოლოდ ასე იქ-ნებოდა მართალი საკუთარ თავდან.

„ნოუტის“ აპლიკაციაში არაფერი დაამატა. დღეს აქ არ ჩაწერს.

გუშინ დილას დიდი წერილი მისწერა გიორგის, თუმცა იცოდა არ წაიკითხავდა. არა, იმიტომ კი არა, რომ ელის წერილების კითხვა არ უყვარდა, ან ახლა იყო განსაცდელში, არამედ იმიტომ რომ იცოდა ვერაფერს შეცვლიდა, იმედს ვერ მისცემ-და საყვარელ ქალს. მან მაინც მისწერა:

„ახლა, უბრალოდ, წვიმს, გაზაფხულის წვიმაა... ვიტირე, ეს არასდროს მითქვამს შენთვის, მაგრამ ვინ იცის მერამდენედ ვიტირე... ძლიერი ქალი ხარო! ტყუილია ეგ! მოგონილია ეგ ამბავი! არ არსებობენ ძლიერი ქალები, არსად არ არსებობენ. ეს თქვენ გგონიათ მამაკაცებს ყველა ქალი ძლიერი, რომელსაც ისე ვერ შეწვდით, როგორც გინდოდათ. ან უბრალოდ იმაზე მეტი სიღრმე იპოვეთ, ვიდრე ელოდით... სისულელეა ეგ, არ არსებობენ ძლიერი ქალები! არავინ იცის როგორ მტკივა ახლა სხეულის ყველა ნაწილი, აბსოლუტურად ყველა ნერვი მიტოკავს, საშინლად მტანჯველია მარტოობა. ხვალ ექიმთან მივდივარ, თუმცა ხვალ კვირაა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ხვალ უნდა წავიდე. რაღაც ძალიან მეჩქარება, რაღაც ძალიან ცუდი მელოდება, ზუსტად ვიცი... ხვალ არა, ალბათ ორშაბათს მივალ. ფეხს ვითრევ, არ მინდა რომ მივიდე. ვიცი, რომ რაღაც ისე ვერ დამხვდება როგორც საჭიროა...

ვიცოდი, მაგრამ ახლა დავრწმუნდი ადამიანები სანდონი არ არიან, მაშინაც კი როცა ძალიან გიჭირს მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ეძებო მეგობარი. დღემდე ვერ ვიპოვე არსება, რომელთანაც შევძ-ლებდი ბოლომდე დავცლილიყავი მხარზე თავი დამედო და ბრძოლისაგან დაღლილს მშვიდად და-

მესვენა. არა, არ უნდა დაანახო სხვას, რომ გიჭირს, უმარტივესი მიზეზის გამო – მოლოდინები რომ არ გაგიხუნონ, იმედები რომ არ გაგითელონ, რომ საკუთარ ეგოიზმს არ განაცვალონ და საკუთარი სიმდაბლის წინაშე არ დაგაჩოქონ.

შენ გგონია, რომ ეს სიძლიერეა, ჩემთვის კი ჩვეულებრივი ყოფაა...

შენ ითხოვ გაგებას და მე კი გავიწყდები... ნუთუ არ გიფიქრია, როგორ მჭირდება ახლა შენი თანადგომა...

რა ვქნა, საით წავიდე?

მე ერთი გზა ვიცოდი, გზა შენამდე!

შენ ეს გზაც ჩახერგე, ჩვენ შორის თვალუწვდენელი კედელი აღმართე და თითქოს გამრიყე. ვერაფერს ვხვდები, მართლა აღარაფერი ვიცი. არც ის ვიცი სად იწყება სიმართლე, არც ის – სად მთავრდება ტყუილი. შენ ხომ ძალა არ გეყო, უბრალოდ ამდგარიყავი და ეს ყველაფერი ჩემთვის აგეხსნა... მე ვინ ვიყავი შენთვის? ფაქტი? ფაქტი თუ ამბავი, რომელსაც ყოველ დღე მოუყვები საკუთარ თავს, რომ არასოდეს დაგავიწყდეს, როგორ უნდა მოექცე ქალს. ქალს, რომელიც ბოლომდე შენია. ქალს, რომელისთვისაც შენ დიდი დაუსრულებელი ამბავი იყავი.

დამიჯერე, ამ ცხოვრებაში იშვიათინი არიან ადამიანები, მონასტრებად ქცეული, სადაც შეგიძლია უბრალოდ მიხვიდე და თავი მიიდრიკო, სიმშვიდე იპოვნო.

შენ კი სადა ხარ?

რა მიზეზებზე მელაპარაკები?

როგორც არ უნდა იყოს, ვისი სახელიც არ უნდა ერქვას შენს გრძნობას, ახსნას არაფერი უდგას წინ, გესმის, აბსოლუტურად არაფერი. მე გაურკვევლობაში დამტოვე. საშინელების მოლო-

დინში და ყველაზე მეტად იცი რა მაცოფებს, შენი ფიქრები... ვეტყვი, გამიგებს, გადაიტანს, ძლიერი ქალია...

რა თქმა უნდა გადავიტან, ჩემზე სუსტებს გადაუტანიათ, მაგრამ... შენ მეცოდები! შენ, რომელიც საკუთარ თავს დაკარგავ!

შენ, რომელიც იმას დაკარგავ, რაზეც სხვას ოცნებაც კი არ შეუძლია!“

ახლაც აქ, ექიმის კაბინეტთან იმიტომ იჯდა, ზუსტად უნდოდა გაეგო ყველაფერი. ამ ბავშვს აუცილებლად გააჩენდა, როგორც არ უნდა ყოფილიყო საქმე. ახლა უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა მოვიდოდა თუ არა კაცი, მაინც გააჩენდა. ელენასთვის ეს ბავშვი ყველაზე ნამდვილი სიყვარულის ნაყოფი იყო. ამას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა.

ექიმი ახლობელი იყო, ამიტომაც პირდაპირ დაიწყო:

– ელი, შენი მდგომარეობა საუცხოოა, ბავშვიც ჯანმრთელია, მაგრამ მგონი ნერვიულობას თუ არ შეწყვეტ საქმე არ წავა კარგად. საუკუნეა გიცნობ და ვიცი, რასაც გეუბნები. შენც იცი რას ნიშნავს განწყობა და პოზიტიური ემოცია. თავს გაუფრთხილდი, სქესს ვერ გეტყვი ჯერ.

მტკიცედ შესული ქალი, ცოტა არეული გამოვიდა კონსულტაციიდან, ხელში მთელი არზა წამლების დანიშნულებით. მანაც იცოდა ის, რაც ექიმმა უთხრა, არ უნდა ენერვიულა. ახლა კი გახსნა სმარტფონში „ნოუტის“ აპლიკაცია და დაწერა: „მთელი დღე ვემზადებოდი, დავწერე, გადავწერე, წავშალე, ისევ დავწერე... მერე ტაძარში წავედი, ღმერთს მოვუყევი ყველაფერი. ორმოცი დღე უმისოდ, მაგრამ სიყვარულის ორმოცი წესით განვლიე.

ყოველ დღეს თავისი წესი შევუფარდე... თითოეულს თბილ ხელისგულებში მოვიქცევდი, არ გაცივდნენთქო, გავსხნიდი და სახარებასავით დაუღალავად ვკითხულობდი... იმ ერთს განსაკუთრებული ადგილი მივუჩინე, შენ რომ წამიკითხე „ყველაზე ძვირფასი ხარ ჩემთვისო“.

მთელი დღე ვემზადებოდი... დავწერე, გადავწერე, წავშალე, ისევ დავწერე...

ღმერთმა – გულს მიენდეო...“

ბედის ირონიაა პირდაპირ. ამ მდგომარეობაში მყოფ ელენას ყოფილმა მეუღლემ ჯერ ნაცნობები გამოუგზავნა, მერე თვითონ გამოეცხადა, შერიგებას სთხოვდა. თითქმის დაჩოქილი ემუდარებოდა პატიებას. არავინ და არაფერი ეზიზღებოდა ამ კაცზე მეტად. მრავალწლიანი ცოლ-ქმრული ურთიერთობიდან ტკივილი და მოლოდინით გატანჯული საათები დარჩა მხოლოდ.

უფალს მადლობას სწირავდა მზე-შვილისათვის, ამ ქორწინებამ რომ დაუტოვა. შერიგებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. იმდენი და ისეთი ახსოვდა, ყოფილი მეუღლის თავგზააბნეული ცხოვრებიდან.

არა! – ეს კი ურყევად იცოდა, რომ არ უნდოდა.

მაგრამ აქეთაც ისეთ გაურკვევლობაში ჰყავდა გიორგის.

უნდა წავიდეს! – უცბად გადაწყვიტა. უნდა ჩავიდეს, უნდა ნახოს ადამიანი, რომლისთვისაც სიცოცხლესაც დათმობს. თვალებში ჩახედავს და მიხვდება. მაშინ გადარჩება, ასე სწამს, ასე სჯერა. უნდა შეუთანხმოს, ყველაფერი მასთან ერთად უნდა გაიაროს.

წამოდგა.

კლინიკის ბარდიურიდან მანქანისკენ გაეშურა. ძლივს მივიდა. „რა, მივა ახლა სამსახურში“. – გაიფიქრა და საათს დახედა. ცხოვრება თავისას

ითხოვდა. გული თავისას. ეს პაწაწინა ჯერ დაუბადებელი არსება – განაჩენს. სახლამდე ძლივს მიაღწია. ტელეფონი გაბმულად რეკავდა, ჩანთა გახსნა...

– გისმენთ!

– სად ხარ გოგო, დილიდან გირეკავ – ბავშვობის მეგობრის შეშფოთებული ხმა თბილად ჩაეღვარა გულში.

– ექიმთან ვიყავი.

– უი, რაო? ანდა არ მომიყვე, მოიცა, ოც წუთში შენთან ვარ... რატომ არ დამირეკე, რატომ?

მარიამთან დიდი, ძალიან დიდი ხანია მეგობრობდა. ელენას მათი გაცნობის დროც კი არ ახსოვს. ასე მოდიან მთელი ცხოვრება, მრავალი წელი. არ უნდოდა ზედმეტად დაეძაბა დღე, განა ვერ დაურეკავდა, უბრალოდ ამ დღეს მარტო უნდოდა ყოფილიყო. ისე, როგორც ყველა სხვა მსგავს დღეს ელენა მარტო გადაიტანდა ხოლმე.

ნახევარ საათში მარიამი უკვე მის სამზარეულოში იდგა და ყავას ადუღებდა თავისთვის. მოვიდა, თავისი განუყრელი „ნინა რიჩ“-ის სურნელი შემოიტანა და ისე მაგრად ჩაეხუტა ელენას სუნთქვა შეეკრა. რაღაცნაირად შინაურული და სახლური იყო ყველაფერი ამ გოგოს დანახვაზე. მასავით უშუალო და მარტივი.

– დაიწყე, აბა, მომიყევი, რაო რა გითხრეს?

– რა მოგიყვე მარუ, ესაო-ისაო კარგადაა ყველაფერიო, მაგრამ... – თქვა და გული დადო მაგიდაზე ელიმ.

– მაგან ბევრი იცის, შენ არ დაუჯერო, აი, ნახავ რომ ყველაფერი გამოვა, არ ინერვიულო გააჩენ. ისე, სულ მინდოდა მეკითხა, რომ არ დაბრუნდეს, ერთად რომ ვერ იყოთ, მაინც გინდა ეს ბავშვი? – უხერხულობა ჩამოწვა ოთახში.

– რა თქმა უნდა მარუ, რას მეკითხები? გადავწყვიტე, რომ მინდა. უბრალოდ ჯანმრთელი მინდა იყოს. სადაც ერთი გავზარდე, იქაც მეორეს გავზრდი, მაგრამ სტრესი და ნერვიულობა არაო.

მარიამი ცოტა ხანს შეყოვნდა, კარგად დააკვირდა დაქალს. იცოდა ელენა რასაც იტყოდა – შეასრულებდა.

– ჰოდა გააჩენ კიდეც! – მეც მოგეხმარები. – გაიცინა.

ოთახი განათდა თითქოს. ერთდროულად სიყვარული, ზრუნვა და მადლიერება გაიფანტა ჰაერში.

– რას ფიქრობ? უნდა წახვიდე? გააგებინებ? – უამრავი კითხვა ერთდროულად დასვა მარიამმა.

– აუცილებლად, უნდა გავაგებინო, მარტო ჩემი ხომ არაა ეს ბავშვი. თან წავალ, ჩავალ, ვნახავ. შენ ხომ იცი, რომ შევხედავ მივხვდები, ეგრევე ვიგრძნობ. წამომყვები მარუ? – ელენამ, პირველად თავის ცხოვრებაში, ასეთ ინტიმურ საკითხში ჩართო დობილი.

– აბა რას ვიზამ, გოგო, მარტო გაგიშვებ? თან ამხელა გაზაზე?

ისე მეც მინდა ვნახო. ძალიან მინდა. მაინტერესებს როგორ გამოიყურება ღალატი.

ელენა შეცბა ამ სიტყვის გაგონებისას.

– ღალატი? – არც გაუხედავს ისე იკითხა.

– ხომ, რა არ არის ღალატი? რა გარანტიაა? რა ვიცით, რომ ხვალ ასე არ მოგექცევა შენც?

– როგორც ვის? – გამოსცრა ელენამ.

– როგორც ცოლს, რომელმაც ორი ანგელოზივით შვილი გაუჩინა და აი, ბატონო კი არის დღეს მიტოვებული...

– რატომ მეუბნები მაგას! – ტონს აუწია ელენამ.

– იმიტომ, რომ ასე ვფიქრობ, რომ მოღალატე ყველასთან მოღალატეა და ისე, საზოგადო სტატისტიკას თუ დავუკვირდებით, ყველა ასეთი მამაკაცი ისევ საკუთარ ოჯახს უბრუნდება, ჩემო ძვირფასო. თუ მიიღეს, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ, ქალები ხომ შტერები ვართ და მაინც ვიღებთ.

– გაჩუმდი, მარუ! რად მინდა მორალის კითხვა ახლა! ყველაზე კარგად ვიცი რა და როგორც არის. მოდი რა, სიმართლეს გეტყვი, სადაც მესამე ჩნდება, იქ ორ შორის უკვე აღარაფერია ხელჩასაჭიდი. არ შეგყვარებია?! არ გყვარებია ასე ძლიერ და ამიტომ ამბობ ამას.

– მყვარებია! – თქვა და ფანჯარასთან ზურგით დადგა მარიამი

– როდის? – სკოლაში ერთი ავალიანი რომ გიყვარდა, იმის მერე არც არავინ ვიცი. თუ მიმალავდი და იმიტომ არ ვიცი.

– მყვარებია და თან თავდავიწყებით. მე ყოველ შემთხვევაში ასე მგონია, რომ ასეთი იყო ჩემი სიყვარული.

– გაფიცებ, როდის იყო ეს? მე სად ვიყავი? – გაოცებული ელენა ვეღარ ფიქრობდა ვერაფერზე.

– აქ იყავი, გვერდით მყავდი. შენი საქმეებით გართული და უამრავი ყოველდღიურობით გაჯერებული. ყოველდღე სვამდი ჩემთან ერთად ყავას, ყოველ წამს მხედავდი, მაგარამ ვერ ხვდებოდი.

– რას ვერ ვხვდებოდი, მარუ?

– იმას, რომ მიყვარდა, ვიტანჯებოდი.

– როდის იყო ეს?

– არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ არის.

– და ვინაა ადამიანო, ამიხსენი წესიერად, ეს მინდა ახლა მე?

– ხო, შენ არ გინდა. რა საჭიროა. შენიც გეყოფა. შენში ხომ ეგოიზმი და ალტრუიზმი თანაბრადაა

შეზავებული. ასე, ყველას თავისი ჰგონია ყველაზე ძლიერი და სასწაული. მე კი მიყვარს. უკვე მესამე წელია მიყვარს. მასაც ოჯახი ჰყავს და ვიცი, რომ ვუყვარვარ.

– გამაგიჟებ შენ! ვინ არის მარ?

– შენი ძმა! – და ელენამ დაინახა მისკენ შემობრუნებულ მარიამს სახეზე ფერი აღარ ედო, თვალები გამუქებოდა და ჩაცვენოდა. ხმაში ბზარი შეჰპარვოდა, მაგრამ იმდენად რბილი იყო, რომ მაშინვე მიხვდებოდა კაცი რამხელა ლოდი მოიშორა ამ სიტყვებით ქალმა.

– რა? ღადაობ? – ვინ ჩემი ძმა გოგო?

– შენი ძმა, მგონი ერთი გყავს! სხვათაშორის რძალიც ერთი გყავს და უსაყვარლესი ძმის შვილიც, შენი მოსახელეა. ისიც ვიცი, როგორ გიჟდები შენს რძალზე, როგორ გიყვარს, იმასაც უყვარხარ. მიდი ახლა და განმსაჯე, რატომ, რისთვის, როგორ გავბედე... მოხდა ასე. ამ სამი წლის წინ ერთად ვიმგზავრეთ, სულ ვგრძნობდი მისგან სითბოს, მაგრამ ვერასდროს ვიფიქრებდი სხვანაირად რამეს. თვითონ გამომიტყდა მაშინ. თავიდან დავიბენი, გავლანძღე, რა არ ვუთხარი. თავი არ დაუხრია, მიყურებდა. რაც გინდა მითხარიო. თავს ვეღარ მოვერიე. უნდა მეთქვაო. მერე ჩემშიც გაჩნდა რაღაც. დაიწყო შეხვედრები. ფარული და ყველასგან მიტოვებული დღეები. მარტო ჩვენი. შენი მრცხვენოდა, შენი რძლის. ყველასი. თავს ვიიმედებდი, არავის არაფერს ვუნგრევ და რა მოხდა, მარტო შეხვედრებიამეთქი. ბოლოს დავასრულე. მე დავასრულე. ვუთხარი, რომ სხვა მიყვარდა. მოვატყუე, რომ ვთხოვდებოდი და უნდა შეგვეწყვიტა შეხვედრები. გაგიჟდა, არ დამიჯერა. ახლაც არ სჯერა. მე კი მოვკვდი. უბრალოდ გარდავიცვალე. იმ დღის მერე ადამიანად აღარ

ვარგივარ. მიდი, ადექი ახლა და მითხარი ვინაა დამნაშავე? რა მოხდებოდა შენ ძმას ჩემს გამო შენი რძალი რომ მიეტოვებინა, რას იზამდი მაშინ? ისევ ის მარიამი ვიქნებოდი შენთვის? შენი ძმიშვილის ოჯახი რომ დამენგრია, ისევ ასე შემხვდებოდი, როგორც დღეს?

მარიამმა კარადის კარი გამოაღო, იქიდან საშობაო ლიქიორის ბოთლი გამოიღო, თავი მოხადა და თვალის დახამხამებაში მოიყუდა. მერე ტუჩებიდან მუჭით მოიშორა ლიქიორის ნარჩენი და მე გამიმარჯოსო დაიძახა.

ასე ბოთლით ხელში წინ დაუჯდა დაქალს და უკვე ამღვრეული თვალებით ქვეშიდან გახედა:

– ახლა ადექი და ჩაიცვი! – მივდივართ, მარტო ვერ გაგიშვებ უნდა წამოგყვე.

– ჩავალაგებ და გამოვალ მეტი არ დალიო გთხოვ – ხვეწნა გაურია ხმაში ელენამ. ბოლომდე დაშლილი ძლივს წამოდგა, დაიხარა, დაქალისთვის კოცნა უნდოდა, მან საშუალება არ მისცა. ხელი აიქნია და კიდევ მოსვა ლიქიორი.

ოთახში შესვლამდე ელენამ გაიფიქრა – პირველად იმან ესროლოს ქვა ვინც უცოდველიაო, მაგრამ მიხვდა ახლა ამის, არც ადგილი იყო და არც დრო და უღიმღამოდ ჩაილაპარაკა – მარტო მივდივარ!

მარიამი წამოდგა, კარადის ვიტრინაში საკუთარ ანარეკლს ბოთლი მიუჭახუნა და „მეზიზღები“-ო – დაუძახა. მერე ენა გამოუყო, რა საჭიროა ახლა ესო მიაძახა და ფანჯრიდან საკუთარ მანქანას გადახედა.

– მარტო კი არა, წაგიყვან და გიპატრონებ კიდეც. – შეუვალი იყო მარიამის გამომეტყველება.

ნატა

წვიმიანი ამინდის ფონზე ულამაზეს სურათს ქმნიდა ეზოში უამრავი ყვავილის ბუჩქი. სახლსაც და ეზოსაც ეტყობოდა მზრუნველი დიასახლისის ხელი. რკინის კარზე ჯერ ზარი მისცა და რომ აღარ უპასუხეს, მერე ხმამაღლა დაიძახა ქალმა:

– ნატა! ნატა!

არავინ უპასუხა ისევ. კარს მიაწვა და შევიდა. ვიწრო მოკირწყლულ ბილიკს აუყვა, „როგორ ალამაზებს ეს ქალი ამ სახლს... რა სიმშვიდეა, ღმერთო“ – გაფიქრება ვერც მოასწრო, სახლის კარი გაიღო და ჯერ მოხუცი გამოჩნდა, მერე შუახნის ქალი მოჰყვა უკან.

– ვაიმე ლიაკო, რა კარგია რომ მოხვედი – თითქმის ერთდროულად შესძახეს ქალებმა ღიმილით და ჩახუტებით შეიყვანეს სტუმარი.

ლიამ ორივე გადაკოცნა, ტკბილეულით სავსე ცელოფანი მიაწოდა ახალგაზრდა ქალს და „როგორ ხართო?“ – იკითხა.

– უჰ რა ვიცი, შვილო, კი გაიგებდი ჩვენს ამბავს როგორც ვართ, თითქმის მთელი ქალაქი ავალაპარაკეთ. რა ვიცი, რაღა როგორ ვართ... გამიკვირდა აქამდე რომ არ გამოხვედი, შენ ასე არ იცი ხოლმე? – თვალები შეაგება მოხუცმა ქალმა.

– არ ვიყავი აქეთ. – თქვა მოსულმა და იქვე სავარძელში ჩაჯდა. – რომ ჩამოვედი, მთელი უბანი თქვენს ამბავზე საუბრობდა. რა მოხდა მაინც, როგორ მოხდა? ვერაფრით ვიჯერებ. ვის, ვის და ეს რომ თქვენს ოჯახს შეემთხვეოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი. არც კი დავმჯდარვარ სახლში ისე წამოვედი. ერთი სული მქონდა ნატა მენახა.

მაგრამ რა გითხრათ, რით განუგეშოთ, არც ვიცი. ის რომ წასულა კი ვიცი, ჩემმა ქმარმა მითხრა მონასტერშიაო. ასეა, ღმერთი მაშინ ახსენდებათ, როცა უჭირთ. ან კი რას იჭირვებდა, ის დალოცვილი, რას? რა აკლდა? ოქროსავით ცოლ-შვილი, ასეთი ოჯახი. არა, გათვალული იქნება ეგ. აგერ ნახავთ. იციან ქალაქელმა ქალებმა ეგ ამბავი.

ნატა შუახნის ქალი იყო. ცხოვრებას და ტრადიციას აყოლილი მანდილოსნის სტილით. დიდად არ განსხვავდებოდა დედამთილისგან. ასაკი რომ არა, ქცევის და საუბრის მანერაც კი ერთი ჰქონდათ. ამდენი წლის თანაცხოვრებას თავისი გაეტანა. ნამდვილად, ძალიან ჰგავდნენ რძალ-დედამთილი ერთმანეთს. თითქოს არაფერი აკლდა ნატას, ლამაზიც იყო, მოხდენილიც, ელეგანტურიც, მაგრამ იყო რაღაც, რაც აკლდა ამ ქალს, ეს რაღაც შარმი იყო, ქალური შარმი. ბოლოს კი აღარც სიყვარული შერჩა. ნატა დედა იყო, კარგი რძალი, ერთგული მეუღლე, საუკეთესო მეგობარი, მაგრამ არ იყო ის, რაც ასე ამშვენებს ქალს და აღაფრთოვანებს მამაკაცს. მასში ქალი გამქრალიყო. ურთულესია იყო ყველაფერი ერთად. უმრავლესობას ეს არ გამოსდის, მხოლოდ ერთეულთა ხვედრია დარჩე ქალად და ყველაფერი ერთად დაიტიო სულში. ეს ომის მოგებაა ცხოვრებასთან. სიცოცხლე და ცხოვრება დაამთხვიო ერთმანეთს და ისიც შუა ასაკში. ელენამ შეძლო ეს, აი ნატამ კი...

ნატა აუჩქარებლად მოუყვა დაქალს მთელს ისტორიას. სად ეჩქარებოდა, მოსახდენი მომხდარი იყო. გადასატანი გადატანილივით ჩანდა უკვე. ერთი სთხოვა, იქნებ დამეხმარო და ქვეყნიდან წავიდეო.

– სად უნდა წახვიდე, გოგო? ის წავიდეს თუ კაია... შენ რა გჭირს სამაგისო? – გაგიჟდა ლია.

– მეც მაგას ვეუბნები, – მუდარად იქცა დედამთილი, – არ ესმის. გარეთ ვერ გავალ, ხალხში ვერ გამოვჩნდებიო იძახის.

– რა გჭირს, გოგო, დასამალი. დაიმალოს ის არაკაცი, შენს თავს და ოჯახს სხვა რომ არჩია. უნამუსო. დაინახავ აგერ, ისევ მოვა, მოგეტუზება და მერე არ დამიწყო იცოდე, უნდა შევურიგდეო. წასვლას მოასწრებ. მოიცა და რომ მიდიხარ ბავშვებს ვის უტოვებ? სად ტოვებ ერთი მითხარი? – ლიამ მიმოიხედა და ბავშვები მოიკითხა.

– მამამისთან აიყვანა შოთამ. ბავშვებმა სთხოვეს და იმანაც უარი ვერ უთხრა, წაიყვანა ორივე. – თითქოს დარცხვენილმა თქვა ნატამ.

– კარგია დაელაპარკებიან ისინიც და ნახავს რა დაატრილა ოჯახში მაგ უბედურმა თუ ჰგონია ფიანდაზებს დაუგებენ სადაც წავა. ვაი, სად ნახავს გოგო შენისთანა ქალს, სად? ასე მზამზარეული რომ ჰქონდა ყველაფერი ოჯახში. რა ჰგონია, მობეზრდება იმ ქალს და ნახოს მერე.

– შესაძლოა, მაგრამ მე აღარ მინდა, ეს დრო მარტო მისთვის კი არა, ჩემთვისაც თვითგამორკვევისაა, თითქოს თვალები გავახილე, ლია, არ ეწყინება ჩემს დედამთილს, მაგრამ თითქოს გავთავისუფლდი. წლებია ასე გრძელდება და აი, დადგა ჟამი და ეს შანსი უნდა გამოვიყენო – ეტყობოდა ნატას საკუთარი სიტყვები კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული.

– ხვალ მივიდეთ იმ ოფისში, წამოგყვები და ვნახოთ იტალიაზე რას გვეტყვიან. თუ წახვალ იქ ჯობია, მაინც ჩვენ გვგვანან იტალიელები. არ გაგიჭირდება.

– მადლობა ლიაკო, არ დაგივიწყებ. მართლა წავიდეთ ხვალ და იქნებ მალე წავიდე. ბავშვები არც ისე პატარები არიან. აქ ესენიც მიხედავენ. მე ნამდვილად ვერ დავრჩები ლიაკო. ვერა, არ შემიძლია, აღარ მინდა.

– ისე მთელი წელი გღალატობდა გოგო და როგორ ვერ მიხვდი ძალიან მიკვირს, სიმართლე გითხრა.

– მაგაშია საქმე ზუსტად. ახლა დავფიქრდი ამ ყველაფერზე, დავაგვიანე, მაგრამ ხომ იცი სჯობს გვიანო და კარგი ქნა, იმ ღამეს რომ სახლიდან წავიდა და მეც მომცა საშუალება მეფიქრა ყველაფერზე. გამეზომა, ამეწონა. მივხვდი, როგორ არ მივხვდი, ეს დღეს არ დაწყებულა, წლებია ასეა. მხოლოდ იმაში ჩავიჭერი, რომ მორიგი გიჟმაჟი თავგადასავალი მეგონა. მეგონა, როგორც ადრე ისევ დაბრუნდებოდა, მაგრამ აქ შევცდი ლიაკო. ეს არ ჰგავდა სხვას, ეს არ იყო სხვა. მე, მე, როგორც არ უნდა გამაკრიტიკო ახლა, ვიგრძენი, რომ ეს სიყვარულია. კითხვა მხოლოდ საკუთარ თავთან დამრჩა: სად დავმთავრდი მე გიორგიში? – ნატა გამართულად საუბრობდა, სატირალი უკვე გამოეტირა. დასაკარგიც განსაზღვრული იყო. რაღა საჭირო იყო ზედმეტი პათეტიკა და ცრემლები. დარდმაც ასე იცის – მოჭამს თავის თავს. ისე სასწაული თვისება აქვს თუ ეს შენ პირადად გეხება, გაძლიერებს და გაქვავებს.

მეორე დღისთვის ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და ლიამ კიდევ ერთხელ ჩაიხუტა მეგობარი, „ყველაფერი კარგად იქნებაო“ – დაუბრა და წამოვიდა.

„აქ სხვების პაემნების ადგილია, ჩვენსას ჩაუვლია უკვე...“

ზღვისპირა ქალაქის უმთავრეს ქუჩას კაფეტერიების რიგი მიუყვებოდა, რომელიც ულამაზესი სანაპიროთი მთავრდებოდა. დიდი საბატონე კიბეებითა და მოკირწყლული ისტორიული ქუჩებით. სილამაზე არ აკლდა ქალაქს. თანამედროვე, სიყვარულის სამოთხედ ქცეული, ევროპულ აურას ქმნიდა ყველა მომსვლელ-ბინადრისთვის.

ლია და ნატა კაფის ვერანდაზე ისხდნენ. უყვარდა ეს ადგილი ნატას. გიორგისთან პირველი შეხვედრაც ხომ აქ შედგა. ქალაქში ერთ-ერთ ლამაზ გოგოდ ითვლებოდა, თაყვანისმცემლების ნაკლებობასაც არ უჩიოდა, თუმცა კაციც არ იყო ურიგო. ბევრი ქალი ოცნებობდა მასთან ურთიერთობაზე, მაგრამ ნატას რაღაც ჰქონდა ისეთი, რამაც ყველაფერი გადაწყვიტა, უფრო ზუსტად გადაწყვიტეს. ოჯახმა, ტრადიციულმა, ადგილობრივმა სათემო კულტმა. ისიც ხომ დედამთილმა შეარჩია, როგორც მისი დედამთილი და იმისი და იმისი... დაუსრულებლად. ახსოვდა, ყველაფერი ახსოვდა. უყვარდა თუ არა აი, ეს კი არ ახსოვდა. ახლა კი ქარს მიჰყვებოდა ყოველივე. გული სტკიოდა ნატას. ფიქრობდა და თვითონაც ვერ გაეგო, რატომ შეეგუა უსიყვარულობას, რატომ გასწია სხვისი ჭაპანი, რატომ აღარ უნდოდა კაცის დანახვაც კი.

ბევრი იტირა, გამოიტირა ყველა ის წელი ამაოდ რომ განლია. მაშინ მართლა ეგონა, რომ თავს მოიკლავდა. ახლა, თითქოს სხვა გახდა. სულ სხვა ქალი იჯდა აქ, სხვა ნატა სვამდა ყავას. სულ სხვა.

დაპირებული შეუსრულა ლიაკომ. საზღვარგარეთის ვიზა თითქმის ჯიბეში ედო. რამდენიმე დღე სჭირდებოდათ ოფისში და ნატას უკვე გამგზავრება შეეძლო. წავა და თავის ცხოვრებას მიხედავს, ერთხელ მაინც მოიქცევა ისე, თვითონ რომ სურს. რაა ორმოცდახუთი წელი – არაფერი! ბავშვების დარდი არ ექნება, ყველა მათი პატრონი იქნება. თვითონ რასაც შეძლებს გამოუგზავნის, აქ აღარ იქნება და აქაურ ფიქრს და ყოფას თვითმფრინავის ტრაპთან დატოვებს.

აღარ უნდა რომ იტანჯებოდეს, მუდამ ელოდოს, ინერვიულოს. მოსწყინდა თან ვიღაც ნათია, ტანია, მანანა, როგორც უნდა ისე მოიქცეს გიორგი, ბოლოს და ბოლოს მისი ცხოვრებაა და მასაც თავისი წლები აქვს გასავლელი... იცოდა ნატამ, კარგად იცოდა, რომ ბევრი რამ თავის ბრალი იყო და ვერაფრით ვერ პატიობდა საკუთარ თავს.

მორჩა, დასრულდა. ნატა აღარაა მეუღლე, არც ის სახლი და ოთახია მისი, სადაც ამდენი წელი იცხოვრა. ქალი ვარ და მეკუთვნის ჩემი ბედნიერება. ხომ არ შეიძლება მუდამ სხვისი ცხოვრებით ცხოვრება, სხვისი ფიქრებისა და სურვილების ტყვეობა, ხომ არ შეიძლება ყველაფრის პატიება და მუდამ უაზრო, გაუმართლებელი დიდსულოვნება. არაერთხელ გადაუხედავს განვლილი ცხოვრებისთვის და არასდროს ისე არ უგრძვნია სიცარიელე, როგორც ახლა. არასოდეს ისე არ სტკენია ფუჭად ჩავლილი წლები, როგორც ახლა და მოუნდა დარჩენილი სიცოცხლე მაინც გაეტარებინა საკუთარი თავით კმაყოფილს.

არასოდეს დავბრუნდები. არასოდეს...

კაფეში ხალხი შემოდიოდა – გადიოდა.

ნატას არ შეუმჩნევია, მხოლოდ ლიაკოს სახის დაძაბული მიმიკით მიხვდა, რომ ვიღაც

ისეთი იდგა ახლოს, ვისაც თითქმის მთელი კაფე უყურებდა.

მოტრიალდა და...

მანქანასთან, რომელიც იქვე გაეჩერებინათ ორი ქალი იდგა. ორივე შავგრემანი, ორივე უცხოდ ლამაზი. ერთი ცოტა დაბალი, მეორე მაღალი.

დაბალმა კარი ჩაკეტა და მაღალს შეასწრო კაფეში შესვლა. მაღალი იქვე, გვერდზე მაგიდას მიუჯდა და შორს, სადღაც ზღვის მიღმა დაიწყო ყურება. უჩვეულოდ გაფითრებული სახე, უფრო ნაზს ხდიდა ქალს. აშოლტილი ტან-ფეხი ჰქონდა. სხვანაირი სევდით უელავდა თვალები, არაბუნებრივი სევდით. დაბალმა ყავა და ნამცხვარი გამოიტანა, თავზე ხელი გადაუსვა, შუბლზე მიადო ტუჩები. „სიცხე არ გაქვსო“ – ანიშნა და მოპირდაპირედ დაჯდა. ახლა ნატა მაღალი ქალის მარტო სახეს ხედავდა: სწორი ცხვირი, დამჯდარი, გაზიდული შავი თვალები, მოყვანილი ნაძერწი ტუჩები.

ფერი... ეს იყო საოცარი ფერი... ქანდაკებას ჰგავდა ქალი... ელინურ ქანდაკებას... ერთი ხელის მოძრაობით თმა გაისწორა მაღალმა და ნატამ იგრძნო როგორ დაეფოთლა სხეული, როგორ აუტოკდა შიგნით ყველა ნერვი. ის იყო, კი, ნამდვილად ის არის. ელენაა... არ ეშლებოდა. ფოტოზე ნანახი ქალი ახლა მის წინ იჯდა და ყავას ნება-ნება მიირთმევდა. ეს იყო ის სატანა – ქალი! გულის სიღრმეში ნატას მაინც გაიელვა ამ ფიქრმა.

– ღმერთო, რა ლამაზია – მოესმა უცებ. მოიხედა, ლიაკო თვალს არ აცილებდა ქალებს.

– ხო, ლამაზია, ლამაზი და უტიფარი! – უპასუხა ნატამ. ლიამ წარბები მომშვილდა, კითხვაც აღარ იყო საჭირო. თვალები ეკითხებოდნენ...

– ის არის. ეტყობა ჩამობრძანდა, უნდა მოინახულოს ალბათ სატრფო..

დამცინავი ტონი გაურია ხმაში ნატამ.

– ის არის? – დაიბნა ლია..

– კი... ლამაზია ხომ?

– კი ლამაზია უდავოდ... მაგრამ შენ ვერ გჯობია!

ნატამ გადმოხედა დაქალს და რაღაც ძალამ ფეხზე წამოაგდო. თვითონაც არ იცოდა როგორ გადადგა ის ორი თუ სამი ნაბიჯი, იქნებ ოთხიც ან ხუთიც... მთავარია დაიძრა და მისვლა დააპირა. გაუსწორდა ჩამოსულთა მაგიდას. ორივე ქალმა ერთდროულად გამოხედა.

– ელენა? – ჩაეკითხა ნატა მაღალს და ერთი ხელი მაგიდას დააყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

– დიახ, მე გახლავარ. თქვენ ვინ... ა, გიცანით, ნატა ხართ !

– ესე იგი მიცნობ, მეც გიცანი. შემეძლო არ შემემჩნიე, მაგრამ გადავწყვიტე მოვსულიყავი...

– აქ არ გვინდა. სადმე მყუდროდ დავსხდეთ და ვისაუბროთ – წამოიწია ელი.

– არა, სასაუბრო არაფერი მაქვს შენთან... მოვედი, რომ გითხრა, მივდივარ და გიტოვებ შენს სიყვარულს. არა, ისე არც ამისთვის მოვსულვარ. უბ-რალოდ შენი ნახვა მინდოდა. იმ ქალთან პირისპირ შეხვედრა, რომელიც გაგიჟებით უყვარს გიორგის. იცი, ასე სჯობს, როდესაც ერთი კარი იხურება, სადღაც მეორე იხსნება და ვინ იცის, წლების შემდეგ გმადლობდე კიდეც.

– ნატა, ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს, მე მიყვარს, ძალიან მიყვარს. არ იფიქრო დაგცინი ან ვსარგებლობამ ყოფით. მე უკვე გამოვიარე, უკვე დიდი ხანია გადავიტანე ის, რასაც ახლა შენ განიცდი. ვიცი, არ არის ადვილი, მაგრამ ჩვენ არ გვეკითხება არსთა გამრიგე. ადრე ვფიქრობდი

ყველაფრის შეცვლა შემიძლიათქო, საკუთარი თავი მე მეკუთვნისთქო, მაგრამ ვცდებოდი. ბევრჯერ ვცადე შეცვლა, მაგრამ ამაოდ და ახლა შენ წინაშე ვდგავარ სრულიად ამაყი, მართალი და ნამდვილი სიყვარულით გულგაჯერებული ქალი. არ ვიცი გიყვარს თუ არა შენ ისე, როგორც მე, მაგრამ მადლობა, რომ ის ასეთია, როგორიც არის. ჩვენ ორივემ ვიცით, რომ ეს შენი დამსახურებაა. მადლობა, რომ მოხვედი.

– ძალიან ლამაზი ხარ ელი, მართლაც ლამაზი ხარ, მაგრამ ვნახოთ სადამდე გაგწვდება ეგ სილამაზე, გეყოფა ძალა ბედნიერებისთვის... – ნატა პასუხს აღარ დაელოდა, გაუკვირდა, ადრე იტირებდა სიტყვის თქმას ვერ მოახერხებდა, მაგრამ ახლა მობრუნდა და გაშტერებულ ლიას დაუძახა – აქ სხვების პაემნების ადგილია, ჩვენსას ჩაუვლია უკვე, წავიდეთ!

ორივემ სასწრაფოდ დატოვა კაფე და იქვე მდგარ მანქანაში ჩაჯდა.

– ეს იყო ნატა?! – მრავლისმეტყველი მზერა ჰქონდა მარიამს. ბოთლი გახსნა და ელის ჭიქით მიაწოდა წყალი.

– ხო, ესაა ნატა... და იცი, შენც ზუსტად ამას გეტყოდი, ჩემს ძმაზე რომ მოგეყოლა. – თქვა ელენამ და იგრძნო, როგორ ჩააყოლა წყლის ყლუპს ბაგეზე მომდგარი გული.

მარიამმა გადმოგორებული ცრემლი შეუმჩნევლად მოიწმინდა, ხელი დაადო ელენას და წავედითო ანიშნა. ნახევრად დალეული ოთხი ყავის ფინჯანი შერჩა კაფეს. ოთხ უკვე დამთავრებულ და გასაგრძელებელ ისტორიად...

ხალხი შედიოდა და გამოდიოდა.

ალსარება

სენაკების ახლოს, პატარა ბაღჩა-ბოსტანი გაეკეთებინათ ბერებს. დილიდან ლუკასთან ერთად იდგა გიორგი და მიწას ბარავდა. სასაწულად შეუყვრდა აქაურობა. ეს ნამდვილი ადამიანები. მართალი ხალხი. ბევრი ისაუბრეს, იმსჯელეს. ნიკოლოზს რომ დავუჯეროთ, სიყვარული დაავადებაოო ამბობს, მედიცინამ ავადმყოფობის ნომერიც კი გასცა მასზეო. – გაეცინა გიორგის.

არადა, მგონი მართლია, ავადმყოფობაა აბა რა ჯანდაბაა, ამხელა კაცი თავგზაარეული დადიხარ და შველას ითხოვ.

შოთამ ბავშვები ამოუყვანა გუშინ, დაბნეული ორი პატარა კაცი. ვერ გარკვეულიყვნენ სად მოდიოდნენ. ასე ჩაცმულ-დახურული რომ ნახეს მამა, გაკვირვებით უყურებდნენ. მერე მოეწონათ აქაურობა, დაათვალიერეს, იტრაპეზეს ბერებთან ერთად. მამას სენაკში წავიდა პატარა და იქვე მიეძინა ტახტზე. უფროსი გვერდში ედგა, კითხვით სავსე თვალებს არ აშორებდა.

– როდის ჩამოხვალო? რამდენ ხანს უნდა იყო აქო? დედიკომ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, საბუთები გაუკეთა ლია დეიდამო.

სულომ ყველაფერი მოუყვა, რაც მისი არყოფნის დროს სახლში მომხდარიყო. ისიც გაანდო, მეზობლის გოგო ანუკი რომ შეუყვარდა და რა ვქნაო? – ჰკითხა – მეც უნდა გავიქცე სადმე მერეო? თუ სიყვარულმა ასე იცის, არ მინდა სულ არ შევხედავო. კითხვების ზღვა ჰქონდა ბიჭს და პასუხს ვერ აძლევდა კაცი. მხოლოდ ჩახუტებული ჰყავდა და კოცნიდა დაუსრულებლად.

მერე ბიჭები წავიდნენ. მალე ჩამოვალთო. ან შენ წამოდი უკვეო დაუბარეს.

ისევ მარტო დარჩა. შოთამ ელენას ამბავიც მოუყვა. ორსულად არის, ჩამოსვლას აპირებს და რა პასუხს ახვედრებ იმ ქალს. ცოდოა ისიც, მოგენდო, შეუყვრდი. ისიც ადამინია. ასე გაქცევით ვერაფერს უშველიო.

სატრაპეზოდ დაუძახეს ლუკას და გიორგის. ისევ ისე სუფთად და მოხდენილად გაეწყოთ ბერებს სუფრა. თვითონაც ვერ მიხვდა როგორ გავიდა მთელი ორი თვე ამ სამოთხეში. მართლა სულის მოსაბრუნებელი იყო ყველაფერი: ბუნება, ტაძარი, ადამიანები. აღარ უნდოდა წასვლა კაცს. აქ, მხოლოდ აქ და ამ ადამიანებთან სურდა ყოფნა. სულ ფიქრობდა. უცნაური იყო. მაისი ჩასაცმელივით არგებდა ბუნების მოვლენებს. ხან წვიმდა, ხანაც თაკარა მზე ანათებდა. მიდიოდნენ ფიქრიანი დღეები, ჩასახუტებლად გაწვდილ ხელებზე პასუხისმგებლობის და მოვალეობის ხუნდები ედო. უყვარდა ელენა, ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის. ოჯახის ყველა წევრიც თავისებურად უყვარდა. გიჟდებოდა ცხოვრების ყველაზე მთავარ ადამიანებზე – შვილებზე და გამოვიდა, რომ მათ უღალატა... ეს იყო ის, რისი გულისთვისაც იქ, დაბლა გააგრძელებდა ცხოვრებას.

ლუკმა არ გადაუვიდა, ლუკასთან მივიდა, ტელეფონი სთხოვა. შოთას ნომერი აკრიფა და...

– შოთ, მოვდივარ და დამხვდი. ელენას უთხარი, რომ ვბრუნდები. უნდა ვნახო, დაველაპარაკო და ნატასაც გავაცილებ ალბათ...

– მიდიხარ? – დაეწია ლუკას მშვიდი ხმა.

– კი. კმარა დამალობანა, მე იქ მიყვარს, იქ მელიან, იქ მინდა.

– შეგეწიოს უფალი გიორგი – კაცო... – გაუღიმა ლუკამ.

ბერებმა დილის სისხამზე გამოაცილეს კაცი. გულზე აკოცეს და მისივე ხელით მოწეული ბოსტნეული გამოატანეს ბიჭებთან, ელენასთან... მოდიოდა კაცი, არა მოფრინავდა, გამოღვიძებული, იმედიანი. ტაქსი ისევ იქ დახვდა, თითქოს მძღოლი არც არსად წასულიყო. წვერმოშვებული, ხელში ლუკას სახარებით რომ დაინახა, ცოტათი შეცბა, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა:

– აბა, როგორია მონასტერი უფროსო, დაისვენე გეტყობა.

– კი დავისვენე! – უპასუხა კაცმა და იმის მერე ქალაქამდე ხმა არ ამოუღია.

მხოლოდ ირიბად გახედავდა ხოლმე სარკეში მძღოლს. ისიც აშკარად ნაწყენი იყო, მოსაუბრე რომ არ ჰყავდა, მიაქანებდა მანქანას.

შოთა შორიდანვე დალანდა, გააჩერეო უთხრა მძღოლს. გადმოვიდა, ერთი გახედა მეგობარს და მის გვერდით ადგილი დაიკავა.

– პირდაპირ ელენასთან მიმიყვანე. – ამოხედა ქვეშიდან.

– გამოგეცვალა, მოწესრიგდი და მივიდეთ.

– არა, ასე მიმიყვანე.

მანქანა დაიძრა, ახალაშენებული კორპუსის სადარბაზომდე ხმა არ ამოუღია არცერთს. გადავიდა კაცი, დამელოდეო თვალით ანიშნა შოთას და სადარბაზოში შეიმალა.

სართული მეოთხე.

მარჯვენა კარი.

ულამაზესი მოგონებები აკავშირებდა ამ სახლთან. კარზე ისე დააკაკუნა, კვლავ არ იცოდა რა უნდა ეთქვა ქალისთვის...

გააღეს!

შესასვლელში იდგა ქალი... თხელ, გამჭვირვალე პენუარზე მამაკაცის პერანგი მოეცვა ელენას. იცნო თავისი პერანგი კაცმა, მიხვდა ეს უკანასკნელი წვეთი იყო დიდი მდინარისა, სიყვარული რომ ერქვა. ქალმა უკან დაიხია, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გიორგის მკლავები მარწუხებივით შემოეჭდო, გაბრძოლება არც უცდია ელენას, პირიქით, უფრო მაგრად მიეკრა გულზე, ისე მაგრად, რომ კაცს სუნთქვა შეეკრა. ისევ ნაცნობმა სურნელმა შეახსენა თავი „თუთის სურნელმა“. ყველაფერი ერთმანეთში აირია. კაცი ნაზად, მაგრამ გრძნობამორეული დაეწაფა ქალის ტუჩებს, კვლავ მარწყვის, ახლად დაკრეფილი ჟოლოს გემო, რომ ჰქონდა. თითქოს დაკარგულ დღეებს, საათებს, წუთებსა და წამებს ინაზღაურებდნენ. თითქოს ცდილობდნენ ერთ მთლიანობად ქცეულიყვნენ და ასე შერწყმოდნენ მარადისობას. ცრემლი და კოცნა ერთმანეთში აირია. სამყარო მხოლოდ მათ გარშემო ტრიალებდა. აღარავინ და აღარაფერი ახსოვდათ, მხოლოდ სიყვარული. გაშმაგებით კოცნიდა გიორგი ელენას. ქალს მონატრების ცრემლებს ამბორით უშრობდა და თავადაც ხარბად შეიგრძნობდა დიდი ხნის განშორების შემდეგ მონატრებით გამოწვეულ სიამოვნებას.

დაწყნარდნენ... თითქოს მოეშვნენ... დიდხანს იდგნენ ერთმანეთს გადახვეულნი, გარინდულნი, თითქოს დრო გაჩერდა მათთვის.

– როგორ ხარ? – თვალებში ჩახედა.

– როგორც დამტოვე იმაზე ცუდად... ბევრად ცუდად...

– მაპატიე... თუ შეგიძლია, თუ ოდესმე შეძლო. დავიბენი... დავიშალე...

– გაპატიო? ახლა მთხოვ პატიებას? – ხმა აუკანკალდა ელენას – ჩემი სიყვარული განა არ ადასტურებს, რომ გაპატიე?

გიორგიმ იცოდა ვინ უყვარდა, ვინ იყო ელენა, მაგრამ ახლა მის წინ ყველაზე სუსტი არსება იდგა, რომელსაც შეეძლო სამყაროს აღდგომოდა წინ, ახლა მას მკლავებში ყველაზე მშიშარა ქალი ჰყავდა მოქცეული, რომელსაც აღარაფრის და აღარავისი ეშინოდა, ახლა ის ქალღმერთს ხედავდა, რომლის სულშიც ბობოქრობდა სიხარული და სევდა, სიკეთე და ბოროტება, ახლა ის სირინოზი იყო თავისი მომხიბვლელი ხმით რომ ცდილობდა უკან არაფერზე დაეხია. როგორ ახერხებს ამას ეს ღვთაება? როგორ გამოსდის?

მაშინ, როდესაც ეგონა თავად ძლიერი იყო და ვერაფერი და ვერავინ დაამარცხებდა, როდესაც თვითონ სადღაც გადაიკარგა საკუთარი თავის საპოვნელად, ამ საოცარ ქალს ყველაფერზე ჰქონდა პასუხი, ყველაფერზე დროულად ჰქონდა ნაფიქრი და ნააზრევი. ის კი... ოჰ, გიორგი, გიორგი, საკუთარ თავს ვერ პატიობდა კაცი...

– მე ყველაზე ვფიქრობდი ელი... უბრალოდ დავიბენი. მიყვარხართ და არ მინდოდა ვინმეს სტკენოდა... არადა ყველას ვატკინე საბოლოოდ... ყველას... – თავს იმართლებდა გიორგი და ვერ გაეგო ელენასი თუ საკუთარი თავის წინაშე უნდოდა დანაშაულის აღიარება.

– განა გაქცევით ეშველა რამეს? მოიფიქრე? იპოვე სწორი გზა?

– კი! უცბად მხრებში გასწორდა კაცი – მთელი ტანით გაიმართა... იქ, მონასტერში ბევრი რამე დამილაგდა თავში. მივხვდი, რაც მინდა.

– ერთ კითხვაზე მიპასუხე. იქ ხომ იმიტომ წახვედი, საკუთარი თავი გეპოვნა, მხოლოდ ამიტომ და სწორი ნაბიჯი გადაგედგა. ყველაზე მშვიდი და თბილი ადგილი იქ მოძებნა შენმა გონებამ და გულმა, ხომ ასეა?

– კი, ეს შვება იყო... იქ მე – მე ვიყავი.

– მეუბნები რომ გიყვარვარ და მიპასუხე, მე რატომ არ ვიყავი შენი მონასტერი მაშინ?

– შენ?

– ხო, მე რატომ არ ვიყავი ის ტაძარი, სადაც ყველაზე კარგად იგრძნობდი თავს. მე რატომ არ ვიყავი ის ლოცვა და სიყვარული შენთვის, რაც იქ იპოვნე, თუ ასე გინდა ჩემთან. ამაზე გიფიქრია? – არ დაელოდა ელენა პასუხს და განაგრძო – ნატა ვნახე გუშინ. შემთხვევით. აქ, კაფეში შეგვხვდა მე და მარიამს. მიდის, მგონი იპოვა გზა. მიხედავს თავს, ჯანმრთელობას. გახსოვს მაშინ, სულ პირველად ნატას ავადობაზე რომ მიამბე რა გითხარი, ღალატი არ შეიძლება ასეთ დროს ადამიანის-მეთქი..

– მახსოვს ელი, ყველაფერი მახსოვს და ამიტომაც არ მინდოდა შენთვის ამეკიდა ამდენი ფიქრი, დარდი, ვაება. შენ ჩემი მონასტერი კი არა, ჩემი ცხოვრება მინდა იყო... არა, კი არ იყო, – ხარ! მივხვდი, ბევრ რამეს მივხვდი ბევრ ადამიანს უკავია თავისი ადგილი ჩემს გულში, მაგრამ ეს გული თავისი ფიქრით, სიხარულითა და დარდით მხოლოდ შენ გეკუთვნის, მხოლოდ შენია და არც იფიქრო წასვლა, არც იფიქრო, რომ გაგიშვებ.

– ეს სახლი უნდა გავყიდო...

– ელი, ჩემო პატარა სულელო გოგო, ჩემო თოჯინა, ჩვენ ბედმა ერთმანეთი გვაპოვინინა... მიყვარხარ და ზუსტად ვიცი, რომ არავინ არასდროს მეყვარება ასე.

კაცი ახლა ისეთი შეუვალი იყო, როგორც არასდროს. მისი ფიქრი და თითოეული სიტყვა ისეთი გულწრფელი იყო, როგორიც არასოდეს ახსოვს. გიორგი გრძნობდა, რომ იმას, რასაც ელენას მიმართ განიცდიდა ყველასა და ყველაფრის შთანთქმა შეეძლო. ეს იყო მოვარდნილი ზღვაური, მონაბერი ქარბუქი და ვაი, მას ვინც წინ გადაუდგებოდა. ისიც იცოდა, რომ ამ სათაყვანო არსებას, რომელიც ახლა მის წინ იდგა და ცრემლად იღვრებოდა, არასდროს არსად გაუშვებდა და თუ შემთხვევით გაიქცეოდა ქვეყნის დასალიერს იპოვნიდა და სულსა და გულს ანაცვალებდა მას.

* * *

„ერთ მშვენიერ დღეს, თუკი ადამიანი ნამდვილ სიყვარულს ამოფრქვევის საშუალებას მისცემს, დალაგებულ-მოწესრიგებული საგნებიც კი ქაოსში გაეხვევა. სამყარო კი მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ადამიანი სიყვარულს ისწავლის. მანამდე კი მხოლოდ ერთი რწმენით შეგვიძლია ცხოვრება – რწმენით, თითქოს სიყვარულისა რამე გაგვეგებოდეს, არადა, მისი დაფასება ჯერაც ვერ გვისწავლია.“

დანტე ალიგიერი (1265 - 1321)

სოციალურ ქსელში ნატას გაზიარებულ პოსტს კითხულობდა გიორგი, როდესაც პატარა ბიჭის ხმა მოესმა:

– სხალთამდე ამიყვანე რა, ბერიკაცო!

– წამოდი შვილო, წამოდი, იქნებ შენ მაინც ამოხსნა სიცოცხლეში ცხოვრების საიდუმლო...

ისე, იქ სამოთხეა...

სარჩევი

თუთის სურნელი 5
დილა 7
გაქცევა 9
სიყვარულის დღე 11
ბედისწერა 13
ბარნაბა 21
გზა მონასტრამდე 24
ელი 29
სამოთხე 32
ბერები 35
სიყვარულის ორმოცი მიზეზი 43
ნატა 56
„აქ სხვების პაემნების ადგილია,
ჩვენსას ჩაუვლია უკვე...“ 60
აღსარება 65

9789941836374